# სარბიელი

სპორტული გაზეთი · ხუთშაბათი 22 აგვისტო 2002 №157 (1679) · ფასი 50 თეთრი





ბადრი ჭითილაძე ტრაპიზონიდან

თურქებმა სამჯერ გაიხარეს, ქართველები ამდენჯერვე დამწუხრდნენ

# რა ითამაშა საქართველოს ნაკრებმა?


იხ. მეორე და მეთხუთმეტე გვერდები


# პრაპრაობა ფეხბურთის ნაცვლად



REUTERS ბაზელიდან

შვეიცარია — ავსტრია 3:2. ერთი შვეიცარიული გოლი ალექსანდრ ფრეის (მარცხნივ) იყო



ქართველთაგან თურქებს ერთი-ორჯერ გიორგი დემეტრაძემ უკბინა

ამხანაგური მატჩი
ტრაპიზონი. 21 აგვისტო. 22.30 საათი. "ავნი აკერი". 30 000 (ტევადობა 30 000)

# თურქეთი 3:0 საქართველო

1:0 არიფი (9), 2:0 ჯიმანი (51), 3:0 ნიჰათი (71)




შეცვლები: ცქიტიშვილი — 18. ბურდული (46); გახოკიძე — 15. კალაძე (46); ქინქლაძე — 13. ჯიქია (46); ომერი — 23. ზაფერი (46); ემრე — 15. ნიჰათი (46); ბიულენთი — 24. ჯიმანი ([illegible]); დავალა უმითი — 4. ფათიჰი (62); ბაშთურქი — 11. ჰასან შაში (62); ნემსაძე — 16. დიდავა (71); საჯაია — 14. შეყილაძე (73); ალფაი — 16. უმით ოზატი (74); თუგაი — 14. ტაიფური (74); დემეტრაძე — 17. აშისულაშვილი (80); ზაფერი — 26. მეთინი (81)

მსაჯები: ნიკოლაის ტგულაკისი, გეორგიოს ტარპანიდისი, დიმიტრიოს ბიზატზიდისი (ყველა საბერძნეთი)

ჯარიმა: 7-13; კუთხური: 6-5; კარისკენ დარტყმა: 7-6; კარში დარტყმა: 8-2; თამაშგარე: 0-5

# ფეხბურთი გურჯისტა 0

კობა ინასარიძე
ტრაპიზონიდან



**გადაჭარბებული** ნამდვილად არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თბილისში, „ეროვნულზე“, საქართველოს ნაკრებს ისე არ ქომაგობენ, როგორც გუშინ, ტრაპიზონის „ავნი აკერის“ სტადიონზე შეკრებილი 30 ათასი მაყურებელი ამხნევებდა სტუმრებს. მასპინძლები — „გურჯისტან, გურჯისტან“ — ძახილით დაიღალნენ, ხმის ჩაწყვეტამდე ქომაგობდნენ, სიმპათიას ბოლომდე ამჟღავნებდნენ, სამპასუხოდ კი, შეურაცხყოფა მიიღეს. საქართველოს ნაკრებმა, ბოლოში და, ფეხი მოედანზე რომ ვერ მოიკიდა, ფეხბურთი და ქომაგი, მათ შორის ტრაპიზონის სტადიონზე მოსული ხუთასამდე ქართველიც, სულ ფეხებზე დაიკიდა.

კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რას წარმოადგენს საქართველოს რჩეულ ფეხბურთელთა გუნდი — უსუსური, უამბიციო, უცოდინარი. რამდენიმე წარმატებულმატჩიანი სერიის შემდეგ ალექსანდრე ჩივაძის გუნდმა „ავნი აკერზე“ ძველი სახე დაიბრუნა — დამჭკნარი, ჩამომხმარი, უსიცოცხლო. და აი, ეს ნაკრები, ჰა-ჰა, ერთი ან ორი ფეხბურთელის შემატებით შვეიცარიაში, 8 სექტემბრის შესარჩევი მატჩისთვის მიემგზავრება... გასამარჯვებლად. გუშინდელი შეხვედრა კი გენერალური რეპეტიცია უნდა ყოფილიყო. გასაგებია, რომ შეიძლება რეპეტიცია არ გამოვიდეს, ჩაიშალოს, რეჟისორი უკმაყოფილო დარჩეს, მაგრამ შეიძლება მსახიობს როლის შესრულება არ სურდეს და ძალისძალად აიყვანო სცენაზე?

თურქთაგან რასაც ველოდით, ყველაფერი მივიღეთ. შესაძლოა, მეტიც. ერთი სტადიონი არ დანგრეულა, თორემ საქართველოს ქომაგობისთვის და ლამაზი ფეხბურთის მოლოდინში მაყურებელმა ყველაფერი გააკეთა. ტყუპ არველაძეებს „ავნი აკერზე“ შეხვედრა რომ მოუწყვეს, ბარე ორმა პრეზიდენტმა ვერ დაიკვეხნოს. მთლიანად ნაკრები ხომ ხელის გულზე ატარეს, თურქეთში ამგვარი სხვას არც დაესიზმრება. მასპინძლებმაც ისე ითამაშეს, უცხო ვერც წარმოიდგენდა, მსოფლიოში მესამენი თუ არიან, თუმც იმის მიხვედრაც გაუჭირდებოდა, რატომ ირჩიეს მეტოქედ ისეთი მეზობელი, საქმეს სახვათაშორისოდ რომ ეკიდება.

ველოდით ნაკრების წაგებას და წააგო; ველოდით დიდ ანგარიშს და არის დიდი ანგარიში; ველოდით ფეხბურთს...



ჩივაძემ უთხრა და – კახა კალაძე მოედანზე გავიდა



შოთა არველაძე „ტრაბზონის“ დროშით

# ნაჩუქარიც არავის უნდა

ვაჟა ხუციშვილი
ტრაპიზონიდან



**სტადიონი** გადაჭედილი. ატმოსფერო — ფანტასტიკური. მუსიკა? შევარცხვინე ნებისმიერი დისკოთეკა. თეთრ-წითელი დროშები, ცეკვა-თამაში და ტაშ-ფანდური. მოედანზე შოთა და აჩიკო არველაძეები რომ გამოვიდნენ, ყველა ფეხზე წამოხტა, ყველა, როგორც ერთი. „ტრაპიზონელები თქვენით ვამაყობთ!“ — ისმოდა დაახლოებით ათი წუთი. შოთას „ტრაბზონსფორის“ დროშა მიაწოდეს. ყოველ აფრიალებას შეძახილი ახლდა.

მთავარი ტრიბუნის თავზე დიდი სურათი ჰკიდია. ერთ ჩვენებურს მუსტაფა ქემალ ათათურქი ეგონა, მეორეს „ტრაბზონსფორის“ პრეზიდენტი. [illegible]ც ერთი იყო და არც მეორე. გინა[illegible]ვთ სადმე სტადიონზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გრანდიოზული სურათი? ასეა. რატომ? იმიტომ, რომ კაცმა თავისი საქმე იცის და აფასებენ. ჰალუკ ულუსოის გამოჩენას მისი სახელის და გვარის ძახილით შეეგებნენ. პრეზიდენტს ფეხზე წამოდგომა არ დაზარებია.

შენოლ გიუნეშის დანახვაზე „ავნი აკერი“ გადაირია, ერთი კუპლეტი უმღერეს. მწვრთნელი ხელების აწევით მიესალმა მშობლიურ ადგილს.

ჰიმნიც ყველამ, როგორც ერთმა იმღერა.

ჰიმნის შემსრულებელთა ორკესტრიდან ერთი თურქი თამაშის წინ გამომელაპარაკა, მეც ქართველი ვარ წარმოშობითო და იქნებ საქართველოს ნაკრების მაისურა გამიხერხოო. თამაშის შემდეგ ვკითხე, კიდევ გინდა მაისურა-მეთქი? გაიღიმა და თქვა, არაო...

# ᲘᲧᲝᲡ ᲦᲘᲐ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ

## ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲨᲔᲐᲯᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲘᲕᲐᲠᲐᲣᲓᲐ

*ორი დღეც და „შერატონი“ მოთუხთუხე ქვაბს დაემსგავსება. სწორედ ამ სასტუმროში უნდა ჩატარდეს 24 აგვისტოს სფფ-ის მეხუთე ყრილობა და საპრეზიდენტო არჩევნები.*

*რეგლამენტით პრეზიდენტობის კანდიდატებმა ყრილობამდე 48 საათით ადრე უნდა შეწყვიტონ საარჩევნო კამპანია, ამიტომ დავით პეტრიაშვილმა გუშინ შემაჯამებელი შეხვედრა მოაწყო ჟურნალისტებთან.*



დავით პეტრიაშვილი

**ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** პრესკონფერენცია არაერთხელ ნათქვამით დაიწყო და კიდევ ერთხელ გამოთქვა მერაბ ჟორდანიასთან და ვაჟა ჩხაიძესთან საჯარო დებატების გამართვის სურვილი. მე არ ვიცნობ ჟორდანიას საარჩევნო პროგრამას, მას თავისი შეხედულებები აქვს, ჩხაიძეს სხვა მოსაზრებები, დავსხდეთ და ღიად ვისაუბრეთ კარსმომდგარ არჩევნებზე — თქვა გუშინდელმა მასპინძელმა, რომელმაც სინანული გამოთქვა, „ქართული ფეხბურთის სახლის“ გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებების მიღმა რომ აღმოჩნდა. „სამწუხაროდ, არ მომეცა იმის შესაძლებლობა, რომ ამ ჩინებული ოფისის პრეზენტაციას დავსწრებოდი. „ქართული ფეხბურთის სახლის“ გახსნით დიდი საქმე გაკეთდა და ყველას ვულოცავ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. მეამაყება, რომ ამ პროექტის განხორციელებაში მეც შევიტანე წვლილი.“ პეტრიაშვილმა უეფას ორდენოსანი ალექსანდრე ჩივაძეც არ დაივიწყა, საპატიო ჯილდო მიულოცა, ეროვნულ ნაკრებს წარმატება უსურვა თურქებთან მატჩში და ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

**— იუჰანსონთან შეხვედრა თუ მოახერხეთ?**

— სამწუხაროდ, ვერა, მაგრამ ბატონ ლენარტთან სატელეფონო საუბარი მქონდა, ისევე როგორც ერიხ ეპლესთან. რაიმე განსაკუთრებულზე არ გვისაუბრია, უბრალოდ, იუჰანსონს ჩემი მისდამი პატივისცემა დავუდასტურე. ბევრს ჰგონია, რომ უეფას თავკაცის თბილისში ვიზიტი არჩევნებთანაა დაკავშირებული და ჟორდანიას მხარდაჭერას გამოხატავს. ეს წარმოუდგენელია, ფიფა-უეფა ასეთ შემთხვევაში ნეიტრალურ პოზიციას იჭერს. აკი თქვა კიდეც იუჰანსონმა, რომ მისი ვიზიტის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ფეხბურთის სახლის“ გახსნას უკავშირდებოდა. ეს ოფისი უეფას ფულით აშენდა და იუჰანსონი გარკვეულწილად ვალდებულიც იყო, გახსნის ცერემონიალს დასწრებოდა. მისი ჩამოსვლა დიდი პატივია საქართველოსთვის.

**— ბლატერთან ხომ არ გქონიათ სატელეფონო საუბარი?**

— არა, მაგრამ რამდენჯერმე დავუკავშირდი ვინსენ მონიეს. ხუთი წელია, მას ვიცნობ და ახსნა-განმარტება ვთხოვე ფიფას სახელით გამოგზავნილ წერილზე.

**— მერაბ ჟორდანია არჩევნებისას ღია კენჭისყრის მომხრეა, თუ ეთანხმებით მის მოსაზრებას?**

— ჟორდანია ღია კენჭისყრას, ალბათ, იმიტომ ითხოვს, რომ ამომრჩევლების ბოლომდე არ სჯერა. ხმის მიცემის ეს მეთოდი ნაკლებ დემოკრატიულია, ფიფა თავის კოდექსში მკაფიოდ მიუთითებს, რომ არჩევნები ფარული კენჭისყრით უნდა გაიმართოს, მაგრამ სფფ-ის რეგლამენტში პირიქით წერია. ისე, წინააღმდეგი არ ვარ, ჟორდანიამ კენჭისყრა თავისი სურვილისამებრ ჩაატაროს.

**— მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესი მოიგეთ, არჩევნები, ალბათ, მაინც სფფ-ის წესდებით გაიმართება...**

— მე არ ვფიქრობ ასე. იმედი მაქვს, რომ არჩევნები საქართველოს კანონმდებლობით გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე ჩატარდება და საარჩევნო ხმის უფლება მხოლოდ 47 დელეგატს ექნება.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აუცილებლად აღსრულდება. მექანიზმი უკვე ჩართულია და სფფ არაკანონიერად ვერ გასცემს საარჩევნო ბიულეტენებს, თუ უკვე გაცემული აქვს, მას სამართალდამცავები ამოიღებენ. ამიტომ მჯერა, რომ არჩევნები კანონიერად ჩატარდება და კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო ამომრჩევლებს, რომ უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე არიან.

**— არჩევნების ჩაშლის საშიშროება თუ არსებობს?**

— ყოვლად დაუშვებელია, რომ ყრილობა და არჩევნები ჩაიშალოს. ეს პირველ რიგში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის გამზადებულ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მიაყენებს დიდ ზიანს.

**ᲑᲐᲐᲢᲐ ᲫᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**



თბილისში ჩამოსულ ლენარტ იუჰანსონს დავით პეტრიაშვილი მხოლოდ ტელეფონით ესაუბრა

# ᲕᲘᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘ, ᲛᲐᲚᲮᲐᲖ?

## ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲡ ᲤᲐᲥᲡᲡ ᲓᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲔᲚᲘᲡ

*საქართველოს მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა მალხაზ ასათიანმა თურქეთში, ქალაქ რიზეში იყოჩაღა. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა სწორედ ახალი კაპიტნისა და ლიდერის ერთადერთი გოლით იმარჯვა. დიდი შანსია, ეს გოლი 21 წლის ასათიანის მომავალი კარიერის „ასაშენებლად“ უაღრესად საჭირო ერთი აგური იყოს, რამეთუ მის ხელში ჩაგდებას ჯერაც ცდილობენ პრაღის „სპარტა“ და თბილისის „დინამო“.*



მალხაზ ასათიანს (მარჯვნივ) ლოდინის მეტი არაფერი დარჩენია

### ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ

მალხაზ ასათიანი გემრიელი ლუკმაა „ტორპედოსთვის“ და ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობასაც ვერავინ გაამტყუნებს, ახალგაზრდა ფეხბურთელში საკმაოდ დიდ (ყოველ შემთხვევაში, საქართველოს პირობაზე) თანხას რომ ითხოვს. მალხაზ ასათიანისთვის კი უმთავრესი კარიერის უფრო ძლიერ კლუბში გაგრძელებაა. შარშანდელი ამბავი გავიხსენოთ და პარალელების გავლებაც არ გაგვიჭირდება. მაშინ მიხეილ აშვეთიამ იყოჩაღა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე და დანიურმა „კოპენჰაგენმაც“ „ტორპედოს“ გზიდან ჩამოშორების შემდეგ ქართველი თავისთან წაიყვანა, ქუთათურებს კი მილიონი ევრო ჩაუთვალა. იგივე ვითარებაა ახლაც. ევროსარბიელზე თავგამოჩენილ მალხაზ ასათიანს ამჯერად პრაღის „სპარტამ“ დაადგა თვალი. კულუარებში ასათიანის სატრანსფერო თანხაც გამჟღავნდა — მილიონი დოლარი. მართალია, ეს ოფიციალურად არავის დაუდასტურებია, მაგრამ კვამლი რომ უცეცხლოდ არ ჩნდება, კარგად ვიცით.

### ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲝ ᲩᲔᲛᲝ...

— ქუთაისს მსოფლიოში ვერც ერთ ქალაქს შევადარებ. იგი უსაზღვროდ მიყვარს. ბედნიერი ვარ, რომ „ტორპედოში“ ვთამაშობ და ამ გუნდის წარმატებებში ჩემი წვლილი მიმიძღვის — უთხრა „სარბიელს“ მალხაზ ასათიანმა. თუმც იქვე ისიც დაამატა, კარგი იქნება, უფრო ძლიერ კლუბში თუ ვითამაშებო. ამაში რომ დასაძრახი არაფერია, ცხადია. ისე, თუკი სტატისტიკას გადავხედავთ, საინტერესო ციფრებსაც აღმოვაჩენთ — ასათიანს სრულად სამი სეზონიც არ უთამაშია „ტორპედოში“. ამ ხნის მანძილზე სამჯერ ჩემპიონობის, ერთხელ კი თასის მოგებაში დაეხმარა მშობლიურ კლუბს. ასე რომ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, ასათიანი „ტორპედოსთან“ ვალმოხდილია.

„ტორპედოდან“ უკეთეს გუნდში გადასვლა მხოლოდ ჩემი კარიერისთვის მინდა. სხვა მიზანი არ გამაჩნია. მსურს უფრო მაღალ დონეზე ვითამაშო“ — ესეც მალხაზ ასათიანის სიტყვებია.

### ᲓᲘᲜᲐᲛᲝ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲜᲔᲑᲝᲐ

თბილისის „დინამო“ უკვე რა ხანია, ცდილობს ქუთაისელი ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას, თუმც დღემდე ვერ შეძლო. არადა, თითქოს ურიგო შანსიც არ ჰქონდა. „დინამოში“ გადასვლაზე თავად ასათიანიც ყაბულს იყო, მაგრამ რატომღაც ეს ტრანსფერი ჯერაც გაყინულია.

— „დინამო“ ყველა ქართველისთვის საყვარელი გუნდია და მოხარული ვიქნები, თუ იქ თამაშის საშუალება მომეცემა — ამბობდა ასათიანი.

რაც დრო გადის, „დინამოს“ ინტერესი უფრო და უფრო ღვივდება. ქუთაისელი ნახევარმცველის შეძენაზე ხორვატმა ივო შუშაკმაც არაერთხელ მიანიშნა.

აქ ერთი დეტალიც არ უნდა გამოგვრჩეს, რამაც შესაძლოა, დიდი გავლენა იქონიოს ასათიანის გადინამოელებაზე. ახლახან ქუთაისის „ტორპედომ“ თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი ზაზა ზირაქიშვილი უფასოდ „იყიდა“. ზირაქიშვილის სატრანსფერო თანხად 55 ათას დოლარს ასახელებენ, თუმც ქუთათურებს ფული უმალ არ მოუთხოვიათ. საინტერესოა, რატომ? დიდი შანსია, ამ საქმეში სწორედ ასათიანი იყოს „გარეული“...

### ᲡᲞᲐᲠᲢᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

„ტორპედო“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან პრაღის „სპარტამ“ გააგდო, თუმც, შესაძლოა, ქუთაისელებმა მაინც იხეირონ. როგორც გითხარით, ჩეხებს ასათიანი თვალში მოუვიდათ და მაგიდასაც მიუსხდნენ. მოლაპარაკების დეტალები ჩვენთვის უცნობია, თუმც სარწმუნო ინფორმაციით, „ტორპედოში“ დღე-დღეზე ელიან ფაქსს პრაღიდან. თავიდან „სპარტა“ ასათიანზე ფიქრს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის მერე აპირებდა, მაგრამ ბელგიურ „გენკთან“ 0:2 მარცხმა ცოტა შეაფუცხუნა. მართალია, ჩეხებს ჯერაც აქვთ ლიგაში შესვლის გარკვეული შანსი, მაგრამ... სავარაუდოდ, „სპარტას“ ასათიანის ფასი აფრთხობს. ისიც სათქმელია, რომ მათ ამ ფეხბურთელზე უარი ჯერ არ უთქვამთ, პირიქით, ისიც კარგად იციან, რომ შესაძლოა, სასურველი ფეხბურთელი თბილისის „დინამომ“ აწაპნოს.

— ამ ორ გუნდს შორის არჩევანის გაკეთება ძნელია. ძალიან სასიამოვნო კი იქნება, „სპარტაში“ თუ გადავალ. ამ კლუბში მაღალი დონის ფეხბურთელები თამაშობენ და მათგან ბევრ რამეს ვისწავლი. „სპარტა“ ევროპაში საკმაოდ ცნობილი და ანგარიშგასაწევი კლუბია“ — ასეთია მალხაზ ასათიანის აზრი ჩეხებზე.

და კიდევ. გახსოვთ, ალბათ, ალექსანდრ შტელინის რამდენიმედღიანი ვიზიტი ბელგიაში. ოფიციალური ვერსიით, „ტორპედოს“ უკრაინელ თავკაცს ბელგიის მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული საქმე უნდა მოეგვარებინა, თუმც, თუ კარგად დავუკვირდებით, შტელინის ბელგიაში ყოფნის დროს ამ ქვეყანას სწორედ პრაღის „სპარტაც“ სტუმრობდა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩის სათამაშოდ იქაურ „გენკთან“. შტელინისა და „სპარტას“ წარმომადგენელთა შეხვედრისას განხილული საკითხის გამოცნობა კი, ალბათ, არ გაგიჭირდებათ. ჰოდა, „ტორპედო“ დღემდე ელის „სპარტას“ ფაქსს.

**ᲫᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

# გაიმარჯვა ფულმა

## საქართველო და შვეიცარია 8 სექტემბერზე შეთანხმდნენ



სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ შვეიცარიელებს გაუგო

**შვეიცარიელებმა** თავისი გაიტანეს — ევრო 2004-ის მათე შესარჩევი ჯგუფის პირველი მატჩი, შვეიცარია — საქართველო, ადრე დათქმული 7 სექტემბრის ნაცვლად 8 სექტემბერს ბაზელში გაიმართება. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელებმა თამაშის ერთი დღით გადატანაზე სფფ-ს ერთი თვის წინ ჩამოუგდეს სიტყვა, მაგრამ ჩვენმა ფედერალებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — 7 სექტემბერს ვითამაშოთ, უეფამ კალენდარი ასე დაგვიმტკიცაო. შვეიცარიელებმა საშველად უეფას მიმართეს და დიდი ბჭობისა და მოლაპარაკებების შემდეგ, ზემოთაც გითხარით, 8 სექტემბერზე შეთანხმდნენ.

ახლა ის ვიკითხოთ, რატომ გამოიდეს ასე თავი საქართველოს ნაკრების მომავალმა მასპინძლებმა. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთ შვეიცარიულ ტელეკომპანიას, რომელსაც მატჩის ტრანსლაციის უფლება შეუსყიდია, სწორედ 8 სექტემბერი აწყობდა. ტელევიზია, მოგეხსენებათ, დიდი ფულია, ფულის გამო კი ერთი დღით გვიან კი არა, საერთოდ არ ითამაშებ კაცი. ჰოდა, შვეიცარიელებმაც მოინდომეს და თავიანთ ტელესპონსორებს, ჩვენში რომ იტყვიან, გაუსწორეს.

**ლუკა თალაკვაძე**



ვახტანგ იაგორაშვილი

# იაგორაშვილის ფატალური კედელი

**ვახტანგ იაგორაშვილი** თბილისის „დინამოში" ობერლიგის „პროიზერ კიოლნიდან" შარშან იანვარში გადავიდა, მაშინ გუნდს გოჩა ტყებუჩავა წვრთნიდა.

წინა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურში კი რუსთავის „გორდას" მცველ ამირან კედელაშვილთან შეჯახებისას დაშავდა და დაახლოებით თვენახევარი გაუცდა, მეორე ეტაპისთვის კი „დინამოს" მაშინდელმა დამრიგებელმა გივი ნოდიამ იაგორაშვილზე უარი თქვა და კლუბმაც ეს ნახევარმცველი ტრანსფერზე დააყენა.

საამსეზონოდ იაგორაშვილს კონტრაქტი დაუმთავრდა „დინამოსთან", თუმც კლუბის ხელმძღვანელობამ მას ახალი გუნდის მოძებნამდე „დინამო 2"-ში ვარჯიშის ნება დართო. მაგრამ ვახოს კვლავ არ გაუმართლა — „გორდასთან" მიღებული ტრავმა გაუმიზეზდა და რეციდივის მოშუშებას დაახლოებით ორ თვეს მოუნდება.

იაგორაშვილი ზაფხულში უნგრულ „დოშო ეტოში" უნდა წასულიყო გასინჯვაზე, ვიზაც ხელთ ჰქონდა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელმა მიზეზმა დააბრკოლა.

**დავით თავართქილაძე**

# ჯამარაულმა ვერ იხმაურა

## გიგიაძე აფხაზავას შეუამხანაგდა

**„ჩემთვის** მნიშვნელოვანი დიდი ანგარიშით მოგება არ არის. მთავარია, რომ ახალწვეულების — ჯამარაულის, არზირესა და ჩუტანგის გარჯით კმაყოფილი დავრჩი. მართალია, ქართველს მეტი შეუძლია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბოლო დროს სათამაშო პრაქტიკა აკლდა და სასურველ ფორმაში ვერ არის. მჯერა, მალე ის ჩვეულად ათამაშდება და ჩვენს გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს" — თქვა ხარკოვის „მეტალისთან" 3:0 მოგების შემდეგ დონეცკის „მეტალურგის" მწვრთნელმა სემიონ ალტმანმა. ჩვენი უკრაინელი კოლეგების ცნობით, ჯამარაულის დონეცკური დებიუტი ხმაურიანი არა, თუმცა შთამბეჭდავი კი გამოდგა. გულშემატკივრებმა იხილეს ფეხბურთელი, ვისაც მეტალურგელთა თამაშის გაძლოლა და მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია.

ვასილ გიგიაძე კი ყირიმელთა გმირი ხდება. „ობოლონთან" მატჩში ტავრიელი ქართველი მინდორზე საუკეთესო იყო. ორი გატანილი გოლის გარდა გუნდს სხვა ბევრი სარგებელიც მოუტანა და ტრიბუნებს ხანგრძლივი ტაშიც მოსწყვიტა. მე-16 წუთზე, გიგიაძემ პენალტით დააწინაურა თავისიანები. საინტერესოა, რომ ეს ვასოს ზედიზედ მე-13 უშეცდომოდ დარტყმული თერთმეტმეტრიანი იყო. სტუმრებმა კი ამ დრამატულ მატჩში ორი პენალტი ვერ გამოიყენეს, ერთი მეკარე ველიჩკომ მოიგერია, მეორე ხარიხას მოარტყეს. 36-ზე გაიდაშმა მეორედ დაამწუხრა ობოლონელები, ტაიმის წამატებულ წუთზე კი გიგიაძემ მესამეც შეაგდო.

შალვა აფხაზავას ამბიციურმა „არსენალმა" შინ „პოლიგრაფტექნიკა" 5:1 დაანგრია. ქართველს არ გაუტანია, თუმცა საგოლე პასით გამოირჩა და გიგიაძესა და კიევის დინამოელ შაცკიხთან ერთად 5 ბურთით მთავარბომბარდირთა სამეულშია.

რუსეთში კვლავ გამოირჩა გიორგი დემეტრაძე. მართალია, მისმა „ალანიამ" მოსკოვში „სპარტაკთან" 1:2 წააგო, მაგრამ ქართველის გოლის ნახვა ერთ რამედ ღირდა. დემემ 38 წლის სტანისლავ ჩერჩესოვს, ვინც ხანგრძლივი შესვენების მერე ჩემპიონთა კარს პირველად იცავდა, ძლიერი და ძალიან ეფექტური დარტყმით შორეულ მაღალ კუთხეში გაუტანა. „ანჟი" — „ტორპედოს" „ქართველთა" დაპირისპირებაში კი მასპინძელთაგან საუკეთესოდ კახა მჟავანაძე დაასახელეს, თუმცა დაღესტანელთათვის ეს, ცხადია, არაფერს ნიშნავს, „ანჟიმ" ზედიზედ მეხუთე თამაში წააგო და გასავარდნთა შორის საფუძვლიანად გაერია.

**სოლომონ ბულისკერიძე**



გოჩა ჯამარაული

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | აინტრახტი 0:2 | 90 | | 2 | 0 | 11 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | აინტრახტი 0:2 | 90 | | 2 | 0 | 11 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | აინტრახტი 0:2 | 90 | | 2 | 0 | 11 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | აინტრახტი 0:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 11 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | აინტრახტი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | დუისბურგი 4:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 3 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | ალემანია 0:0 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | აუსტრია 0:2 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 3 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | გრიმსბი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ჰიბერნიანი 4:2 | 90 | | 3 | 2 | 2 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | დანფერმლაინი 2:4 | 90 | | 3 | 0 | 11 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | დანფერმლაინი 2:4 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 11 |
| **ბელგია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ლუვეი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | სპარტაკი 1:2 | 90 | 1 გოლი | 7 | 5 | 11 |
| გია იმედაძე | ალანია | ს | სპარტაკი 1:2 | 0 | ტრანსფერზეა | 10 | 2 | 11 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | სპარტაკი 1:2 | 89 | შეცვალეს | 8 | 5 | 11 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | ალანია 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | შ | ალანია 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | 1 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | კრილია 0:3 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | ტორპედო 0:1 | 90 | | 18 | 1 | 15 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | ანჟი 1:0 | 14 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 0 | 9 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | ანჟი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | ლადა 2:1 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 18 | 0 | 13 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | ლადა 2:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 21 | 1 | 13 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | ლადა 2:1 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 15 | 0 | 13 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | ამკარი 1:0 | 60 | შეცვალეს | 15 | 0 | 1 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ამკარი 1:0 | 20 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ამკარი 1:0 | 70 | შეცვალეს | 19 | 11 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | შ | ასკ როსტოვი 2:1 | 90 | 1 გოლი | 18 | 3 | 12 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | შ | გაზოვიკი 2:0 | 0 | | 4 | 1 | 16 |
| ალექსანდრე გელაძე | ასკ როსტოვი | ს | ლოკომოტივი 1:2 | 0 | | 6 | 0 | 14 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ასკ როსტოვი | ს | ლოკომოტივი 1:2 | 0 | | 3 | 1 | 14 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ასკ როსტოვი | ს | ლოკომოტივი 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 14 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | ობოლონი 3:1 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 9 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ობოლონი 3:1 | 90 | 2 გოლი | 7 | 5 | 9 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | ობოლონი 3:1 | 0 | | 2 | 1 | 9 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟია | შ | ვორსკლა 0:1 | 0 | | 5 | 0 | 14 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | პოლიგრაფტეხნიკა 5:1 | 57 | საგოლე პასი, შეცვალეს | 6 | 5 | 5 |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | მეტალისტი 3:0 | 90 | | 1 | 0 | 13 |
| **პოლონეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| | ამიცა | ს | პოლონია 0:2 | 90 | | 1 | 0 | 14 |
| მამია ჯიქია | ამიცა | შ | ლეგია 1:1 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 2 | 1 | 10 |
| | ამიცა | ს | პლოცკი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 3 | 1 | 9 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | | ტური გამოტოვა | | ტრავმირებულია | 14 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 14 | 2 | 2 |
| ლევან კორლალიძე | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 16 | 3 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | ს | აუდა 1:0 | 0 | | 14 | 1 | 8 |
| | რიგა | ს | ვალმიერა 3:0 | 0 | | 14 | 1 | 8 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

# ტელეშოკი

## გაკოტრებულმა ტელეკომპანიებმა ევროპული ფეხბურთი მშიერი დატოვეს



ასე თუ გაგრძელდა, ტელევიზიით ფეხბურთის ნახვა მოგვენატრება

**ხომ შეიტყვეთ**, იტალიელებმა სერია A-ში ბურთის გაგორება ორი კვირით რომ გადასწიეს? მიზეზი: კლუბების, ლამის ნახევარს სატელევიზიო კონტრაქტები არ აქვს გაფორმებული. ამასთან, იტალიელებს „ფიორენტინას" გაკოტრებამ გაუხეთქათ გული და ამ მდიდარ, უზარმაზარი ხელფასებით განთქმულ ლიგას შიშისა და გაუგებრობის ბურუსი ჩამოაწვა.

კეთილი, მაგრამ ნუთუ ეს პრობლემა მხოლოდ იტალიელებს უმწარებს ბურთიან ცხოვრებას? როგორც ირკვევა, არა. მაგალითისთვის ინგლისი დავასახელოთ. ქვეყანაში, სადაც ჩემპიონატი უკვე დაიწყო, ITV-ს კოლაფსის გამო პირველი, მეორე და მესამე დივიზიონების თამაშებს, პრემიერლიგის ფიცხელ მატჩებთან ერთად „სქაი" გადასცემს. ერთი სიტყვით, „სქაიმ" მონახა საშუალება კუნძულზე ბურთის ნებისმიერი გაგორება თავის ეკრანში ჩაეტია, ოღონდ, ბუნებრივია, ხაბრალო ქვედალიგელებს ცოტა გადაუხადა.

გერმანელებსაც უჭირთ. „კირხის" გაკოტრების ამბავი ხომ იცით და ამ ამბის გამო ბუნდესლიგის ბევრი კლუბი ტელეკონტრაქტისა და ფულის გარეშე დარჩა.

ერთი სიტყვით, პრობლემა ევროპულია და არა იტალიური, ინგლისური ან გერმანული. იმის არ იყოს, ტერორისტებს ეროვნება არა აქვთო, არც უფულობას აქვს სამშობლო და ეროვნება. შემოსავლების, მეტადრე კი სატელევიზიო შემოსავლების თვალსაზრისით დღევანდელი ევროპის მე-20 საუკუნის ბოლო წლების ევროპასთან შედარება აღარც შეიძლება.

„ფრაისვოტერჰაუს კუპერზის" ეკონომისტმა დევიდ ლენსფილდმა მიმდინარე ამბავი სააგენტო „როიტერის" კორესპონდენტს ასე აუხსნა:

„აღმასვლის და ჩავარდნის პერიოდები ნებისმიერ ბიზნესს აქვს. ფეხბურთის შემთხვევაში იმის თქმა შეიძლება, რომ ამ სფეროში შემოსავლების დიდი ნაწილი ტელევიზიას მოჰქონდა, დღეს კი აღარ მოაქვს. მაგრამ იმის თქმა, რომ საქმე არ გამოსწორდება, არ შეიძლება. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ ამ ბიზნესში ჩართული ადამიანები სირთულეებს თავს გაართმევენ".

ჩავარდნა კი, მართლაც სერიოზულია. მაგალითად, „კირხს" 1,5 მილიარდ ევროდ გერმანული ბუნდესლიგის მატჩების ტრანსლაციის უფლება ოთხი წლით ჰქონდა ნაყიდი, მაგრამ გაკოტრდა, რადგან გაირკვა, რომ ინვესტიცია მოგებას ველარ მოუტანდა. შემ ინგლისის საფეხბურთო ლიგას 315 მილიონ გირვანქას ჰპირდებოდა, მაგრამ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ორი წლით ადრე გაკოტრდა და 72 კლუბი ჰაერზე დატოვა. ამ კლუბებს დაახლოებით 200 მილიონი გაუსხლტათ ხელიდან. გამოსავლის ძიებაში ინგლისელებმა „სქაის" მიაკითხეს, რომელმაც ოთხ წელიწადში მხოლოდ 95 მილიონის გაღებაზე თქვა დასტური. შესაბამისად, კლუბებს ფეხბურთელების უმუშევრად დატოვება და ძველი სტადიონების რეკონსტრუქციაზე უარის თქმა მოუხდათ. ერთადერთი, რაშიც ინგლისელებს გაუმართლათ, ის გახლდათ, რომ პრემიერლიგა ამ დავიდარაბას გადარჩა.

ესპანეთში „რეალი" და „ბარსელონა" ფიქრობენ და სწონიან, როგორ მოიქცნენ. ერთი სიტყვით, მოლაპარაკების პროცესი ჯერ არ დამთავრებულა, თუმცა კონტრაქტების ამოქმედებას ისედაც 2003 წლიდან აპირებდნენ. თუ ყველაფერი კარგად აეწყობა, მაშინ ესპანური ფეხბურთის ეს ორი გიგანტი სეზონში 300 მილიონი დოლარით შეივსებს ბიუჯეტს. ზოგადად კი, ესპანეთში, საერთოევროპულმა უფულობამ სატრანსფერო სეზონი დააბრკოლა, თუმცა ამ სურათში „რეალის" მცდელობას, ზიდანსა და ფიგუს რონალდოც დაამატოს, ვერანაირად ვერ ჩავსვამთ. ერთი სიტყვით, თუ ყურადღება მიაქციეთ, ჩვენ მხოლოდ ორი გუნდის კარგად ყოფნა ვახსენეთ, დანარჩენები კი მათებრ დალხენით ვერ ცხოვრობენ.

ფრანგები, უფრო სწორად კი პირველი დივიზიონის გუნდები მოლაპარაკებების დაწყებას ახლა აპირებენ. დღეისთვის ამ ქვეყნის ჩემპიონატის თამაშებს ორი კომპანია, „ვივენდი უნივერსალ კანალ პლუის" და TPS გადასცემს. მათი ხელშეკრულებების ვადა ერთი წლის შემდეგ, 2004 წლისთვის იწურება, ასე რომ, სხვათა გასაჭირზე ჭკუის სწავლის დრო ევროპის ჩემპიონთა სამშობლოში თითქოს ჯერ კიდევ არის. რამდენადაც ცნობილია, ევროპულმა კრიზისმა საფრანგეთში გვარიანი შეშფოთება გამოიწვია და იქაური კონტრაქტების განახლებას ახალი ნიუანსების გათვალისწინებით აპირებენ.

ერთი სიტყვით, ევროპაში კრიზისია, რომელიც ზოგ ქვეყანას მეტად ეხება, ზოგს — ნაკლებად, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ფულის ძველებურად ფანტვას „ბებერი კონტინენტი" თავს ანებებს. კერძოდ, ყველაზე დიდხელფასიანი ფეხბურთელები, ზიდანი, ვიერი, რეკობა და რონალდო აცხადებენ, რომ მზად არიან ხელფასის შემცირების შესატყობად.

მაგრამ შემცირებას კიდევ არა უშვებს. ინგლისის პირველ დივიზიონის, „ლესტერ სიტის" ფეხბურთელები ნიკი სამერბი და ბილი მაკკინლი უხელფასოდ თამაშს დაყაბულდნენ.

**ბაჩუნა ძიძია**

# კრანიოტის პოსლე გაუგრძელდა

„**ლაციოს**" შეიძლება სამი კონტრაქტი გაუუქმონ. ლაპარაკია სამ ახალ ტრანსფერზე: „კიევოდან" ერიბერტოსა და მანფრედინის გადასვლაზე და „ვერონადან" ოდოს შეძენაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სამივე ფეხბურთელს ძველ საცხოვრებელ ადგილას მოუწევს დაბრუნება. მიზეზი: კაცს რომ იყიდი, ფულს გადახდა უნდა.

მეტიც, როგორც ირკვევა, რომაელებს „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ჯერ იაპ სტამის ფულიც არ აქვთ ბოლომდე გადახდილი.

კიდევ, „კრუზეირო" სორინის ფულს ელის, „სან კაეტანო" სეზარის, „ველეს სარსფილდი" — კასტრომანის. და თუ უახლოეს ხანს კლუბის პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი სადმე ახალ ქისას არ იპოვნის და პირს არ მოხსნის, „ლაციო" ჩამოთვლილი მოთამაშეების გარეშე დარჩება. „პარმას" ფეხბურთელის, ბარონიოს საქმეც ჩაიფუშება — „ლაციო" ამ დღეებში მის ყიდვასაც აპირებდა.

შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ „ლაციო" სერია A-ს საწევროს თუ ლიცენზიის ფულსაც ვერ იხდიდა, მაგრამ კრანიოტიმ იყოჩაღა და რაღაც მოახერხა. ახლა, ინებეთ...

**ბაჩუნა ძიძია**




„ლაციოს" იაპ სტამის (მარცხნივ) სატრანსფერო თანხაც გადაუხდელი აქვს

# ბარეზი აღ ფაიედს გაექცა

**ივნისიდან** „ფულემის" სპორტულ დირექტორად მომუშავე ფრანკო ბარეზი გუშინ თანამდებობიდან გადადგა, არადა, წარსულში სახელოვან იტალიელ მცველს ექვსი თვის მანძილზე უნდა ემუშავა ლონდონურ კლუბში.

„ზაფხულის დასაწყისში გადავწყვიტე, რომ შემოთავაზებული სამსახური საინტერესო იქნებოდა. პროფესიულ გამოცდილებასაც მივიღებდი და „ფულემსაც" მოვუტანდი სარგებლობას. მაშინ დავთანხმდი, თუმც მუშაობის პროცესში სირთულეებს წავაწყდი და მივხვდი, რომ საქმე ისე არ აეწყო, როგორც ვგეგმავდი. ამიტომ პოსტი დავტოვე" — განაცხადა 42 წლის ბარეზიმ.

„ფულემის" მეპატრონე მოჰამედ ალ ფაიედმა ბარეზის კლუბის ახალგაზრდა ფეხბურთელთა აკადემია და ქალთა ფეხბურთის განვითარება ჩააბარა. მაშინ ლონდონელი მაგნატი დიდ იმედებს ამყარებდა იტალიელზე, მაგრამ პარტნიორობამ ორ თვესაც ვერ გასტანა.



ფრანკო ბარეზიმ (შუაში) „ფულემში" საქმე ვერ ააწყო

ბარეზი „მილანში" 1977 წელს ჩაირიცხა და ზუსტად 20 წელიწადი ერთგულად ემსახურა თავის გუნდს. ამ პერიოდში იგი ექვსჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, სამჯერ მოიგო ევროთასი და ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი.

იტალიის ნაკრებში ბარეზიმ 88 შეხვედრა ჩაატარა. ის იყო 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის წევრი, ასევე 1994 წლის ფინალისტი.

**ირაკლი მეძუა**

# ბოლტონმა კამპო ვერ მოხიბლა

**პრემიერლიგურმა** „ბოლტონ უონდერერსმა" თითქოს წარმატებით დაასრულა მოლაპარაკება მადრიდის „რეალთან" მცველ ივან კამპოს გადაბირების თაობაზე, თუმცა ტრანსფერი ჯერაც არ განხორციელებულა.

ინგლისური კლუბის მწვრთნელმა სემ ელერდაისმა განაცხადა, რომ ისინი თავად ფეხბურთელთან ვერ შეთანხმდნენ, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, მადრიდელი ცენტრალური მცველი რას ითხოვს განსაკუთრებულს.

„თუ კამპო ჩვენს წაყენებულ პირობებს დათანხმდება, სიხარულით მივიღებთ, თუ არა და, რაიმე დამატებითი კომპრომისების შეთავაზებას არ ვაპირებთ. ამჯერად შეიძლება ითქვას, რომ მოლაპარაკება ჩიხშია შესული" — განაცხადა პრემიერლიგელთა თავკაცმა.

ივან კამპო მადრიდის „რეალმა" „მალიორკასგან" შეიძინა. ის ადრე უფრო ხშირად ხვდებოდა „სამეფო კლუბის" ძირითად შემადგენლობაში, წინა სეზონში კი უმეტესად შეცვლებზე შედიოდა. სავარაუდოდ, მას არც ამ სეზონში ელის გარანტირებული ადგილი.

ესპანელს და „ბოლტონს" აგვისტოს ბოლომდე აქვთ ვადა, რათა მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულონ.

**ნიკა შუბლაძე**



ივან კამპო

# ო, სოლე მიო!

## ეფემ მზეს ვოლფსბურგშიც შეუშვირა

## მარმელადივით ტკბილი და რძესავით ნოყიერი



**ცუდი ბიჭი** და დიდი შტეფან ეფენბერგი ვოლფსბურგულ ილალს ეგუება

ჰოდა, გერმანულმა ტოპ ტაბლოიდმა „ბილდმაც“ საგანგებოდ უძღვნა ფოტოები და სტრიქონები ამ ამბავს.

ახალმა კლუბმა ჭირვეულ შტეფანს წინწკვი „პასატი“ უფეშქაშა — ცხადია, სპონსორ „ფოლკსვაგენის“ ნაწარმი.

ვოლფსბურგს ეფენბერგი მეგობარ ქალბატონთან, ერთად, 36 წლის კლაუდია შტრუნცთან ჩავიდა — „ეფეს“ ყოფილი თანაგუნდელის, თომას შტრუნცის მეუღლე რომ ჰყავს დაილიავებული, კარგად უნდა გახსოვდეთ.

წყვილი მანამდე ფლორიდაზე ნებივრობდა, ვოლფსბურგში კი ფრაუ შტრუნცმა მისი და თომასის ბავშვებიც ჩაიყვანა — უფროსი 3 წლის გახლავთ, უმცროსი 6 თვისა. კლაუდია რძედ შარდავსო, „ბილდს“ არ უთქვამს, მაგრამ ის კი აღმოხდა, შტეფანის ქალი და გაზაფხულის მზის სხივები ერთიაო.

რძე კი სასტუმრო „რიც კარლტონში“ მიურთმევიათ „ეფეს“ და კლაუდიას, ზედ მარმელადი, ფორთოხლის წვენი და კაპუჩინოც მიუყოლებიათ.

ეფენბერგის დიაცი მინიქვედაკაბაში და მკერდსშემოწკეპილ მაისურაში გახლდათ გამოწყობილი, თითქოს გოლფის სათამაშოდ არის შემართულიო, ასე განუსჯია „ბილდს“.

34 წლის ფეხბურთელს ნაშუადღევს, თორმეტის ნახევარზე მოუცლია სავარჯიშოდ. მას ოთხ პროფესიონალთან და ამდენივე მოყვარულთან ერთად მოუდენია ოფლი და ორი ბურთიც გაუტანია.

ნავარჯიშევს შტეფანი, შტრუნცის ნაცოლარი და ბავშვები საგანგებოდ შერჩეულ ბინაში უკირკიტებდნენ ოჯახურ იდეალებს. ვოლფსბურგში „ეფემ“ 350 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა დაიქირავა, რომლის ეზო 2000 კვადრატული მეტრია. ეფენბერგი სწორედ იქ შეუშვერს თავის სხეულს გაზაფხულის მზის სხივებს.

**დავით თავართქილაძე**



შტეფან ეფენბერგმა ახალი „პასატი“ და ახალი გუნდი გაიცნო





# ვიქტორია მიასკანერეს

## ბექემს გოგო უთხრეს

**ბექემიანთ** მატებას ელიან. ზოგადად გაპრანჭული, ახლა კი ფეხმძიმე ვიქტორია ალამსი სამშობიაროში გაუქანებიათ ბავშვის სქესის დასადგენად.

ვიქტორიამ ორ კვირაში უნდა გააჩინოს და როგორც გაირკვა, გოგონა.

სამშობიარო ადრიდანვე შერჩეულია: მაკლსფილდის საავადმყოფო ჩეშირში, სადაც ბექემები ბინად არიან.

სამშობიაროში მისული ვიქტორია, ისევე როგორც ყოველი მომლოდინე დედაა გულაფრიალებული ყოფილა, თუმცაღა მალევე დამშვიდებულა.

რაღა თქმა უნდა, ექიმებთან ქმარს მიუყვანია და ერთი საათი შემდეგ მასვე წამოუყვანია. სანამ ვიქტორიას ამოწმებდნენ, მის ქმარს მათი ვაჟი ბრუკლინი იქავმდებარე „მაკდონალდსში“ შეუყვანია სასადილოდ. ამასობაში ერსა და ბერს შეუტყვია, რომ ვიქტორია ალამს-ბექემი აქ არისო და საავადმყოფოს არემარეს მისევია.

ქმარს ის გახარებია, რომ ექიმებს ზუსტად გამოუთვლიათ გოგონას დაბადების თარიღი, თამაშებს შუა გამოდის და მშობიარობისას აქ ვიქნებიო.

ამავ სამშობიაროში დაბადებულა მათი ვაჟი ბრუკლინ ჯოზეფიც, რომლებსაც დედ-მამამ ბრუკლინი იმიტომ დაარქვა, რომ ბიჭი ბრუკლინში ჩაისახა.

ახლა ხალხს ჰგონია, რომ მეორე ბავშვს ბექემები პარიზს დაარქმევენ, რახანია იქ ჩაუსახავთ, მაგრამ დედ-მამას უარი უთქვამს, ეგრე არ იქნებაო.

ამბის ბოლო კი ის არის, რომ ბექემები მშვიდობიანად დაბრუნებულან თავიანთ სასახლეში ნეზერ ოლდერლიში, სადამდეც სამშობიაროდან სულ თხუთმეტი კილომეტრია.

**ირაკლი გაგყრელიძე**

# ესკუდეს ბედს ძაღლმა დაჰყეფა

## არ იქნება ფაბიენი, იქნება ფაბიანი

**არის საფრანგეთში** ასეთი ყმაწვილი, ჟულიენ ესკუდე, რომელსაც მეცხვარე ძაღლი ჰყავს. იმ საღამოსაც, ესკუდე თავის ნაგაზს ასეირნებდა და ამ სეირნობა-სეირნობაში მუხლი იტკინა. ესკუდეს ამ სულელური შემთხვევის გამო ძალიან დაწყდა გული და განაცხადა:

„მუხლთან რომელიღაც მყესი გავიჭიმე. ახლა ანთების საწინააღმდეგო წამლებს ვსვამ, მაგრამ ვეჭვობ, სამ კვირაზე ადრე ჩემს ფეხს რაიმე ეშველოს. ძალიან გავწბილდი, თუმცა იმედი მაქვს, რომ მუხლის ტკივილი საქმეში არ შემიშლის ხელს“.

საქმე კი აი, ასეთია: ესკუდე „რენის“ მოთამაშეა, და თვალი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაადგა. ყმაწვილი დიდ ინგლისურ კლუბში გადასვლის იდეამ აღაფრთოვანა, მაგრამ „რენის“ ხელმძღვანელობამ ცივი წყალი გადაავლო — შენ ჩვენი ხარ, ჩვენ გვჭირდები და საით გაგიწევიაო. ესკუდე გაბრაზდა და ვარჯიშებზე სიარულს თავი დაანება, მარტო სირბილს შეუდგა, მანჩესტერელები კი ჯიუტად უმეორებდნენ „რენის“ ხალხს, თქვენი რომ არის არ გვაინტერესებს, ჩვენი უნდა გახდეს და მოდით, ახლა, ჩქარა, მოლაპარაკების მაგიდასთან მოგვისკუპდითო. და, აი, ასეთ დღეში რომ იყვნენ, ყმაწვილმა მუხლი იტკინა, ინგლისში კი სატრანსფერო ხლაფორთს 31 აგვისტოს წერტილი დაესმება.

„რენის“ პრესატაშემ, ჟერომ პუპარმა განაცხადა: „ჟულიენის მუხლს სერიოზული არაფერი სჭირს. სამ კვირაში ბიჭი რიგზე იქნება და ითამაშებს იქ, სადაც თამაშობს — ჩვენთან. მის სადმე გაშვებაზე ლაპარაკიც ზედმეტია“.

ასეა ეს ამბავი. მაგრამ არის კიდევ სხვა ამბავიც, ისევ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დაკავშირებული. კერძოდ: ინგლისის ჩემპიონმა „არსენალმა“ („მანჩესტერზე“ ცოტა მოგვიანებით) აგვისტოს დასაწყისში იტალიურ „იუვენტუსთან“ ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმადაც „ბებერი ქალბატონის“ ურუგვაელი და, როგორც იცით, სათადარიგო მეკარე ფაბიან კარინი ერთი წლით ლონდონში უნდა გადაბარგებულიყო, მერე კი ტურინს დაბრუნებოდა. ძალიან კარგი, მაგრამ ლონდონელები იდგნენ და ელოდნენ, კარინი კი არ ჩანდა. ბოლოს „არსენალის“ მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა ურუგვაელს შეუთვალა, 15 აგვისტოს აქ ჩამოდი, თორემ მე ვიცი შენი ამბავიო, მაგრამ ის 15 აგვისტოც გავიდა და შემდგომი დღეებიც, კარინი ისევ არ ჩანდა. გაწბილებულმა ვენგერმა, სიტყვის გამტეხი კაცად არ მიმაჩნიაო, დაიქუხა და შეიტყო, რომ კარინი... „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადადის. თურმე „მანჩესტერის“ მთავარი მეკარე ფაბიენ ბარტეზი დაშავებულა და სერ ალექს ფერგიუსონს ფაბიენის შემცვლელად ფაბიანი მონდომებია.

ესეც მეორე ამბავი.

**ბაბუნა ბედია**



ფაბიან კარინი ფაბიენ ბარტეზს შეცვლის



# რია-რია რიასორზე

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაცია იმ ინციდენტს გამოიძიებს, რომელიც ქვეყნის სუპერთასის მატჩისას ლაკორუნიის „რიასორზე“ მოხდა— ტრიბუნიდან ნასროლი ნივთი სტუმართა მეკარე სანტიაგო კარისარესს მოხვდა.

ვითარება დაიძაბა და საფინალო სასტვენის შემდეგ დაზარალებულმა ვალენსიელმა უსაფრთხოების მიზნით უარი თქვა სტადიონის ესკორტის გარეშე დატოვებაზე.

ფეხბურთის ფედერაციაში აცხადებს, რომ განაჩენის გამოტანამდე მოისმენენ „რიასორის“ სტადიონის დაცვის სამსახურის პატაკს. იმასაც მიაქცევენ ყურადღებას, სერიოზულად დაშავდა თუ არა კანისარესი.

მატჩი კი „დეპორტივომ“ დიდი უპირატესობით, 3:0 მოიგო. საპასუხო შეხვედრა კვირას, „მესტალიაზე“ გაიმართება.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. ბუნდესლიგა. III ტური | | | | | | |
| | | 24 აგვისტო | | | | | | |
| 18.30 | 001 | კოტბუსი-ჰანზა | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 18.30 | 002 | მიუნხენი-ვერდერი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 18.30 | 003 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| 18.30 | 004 | არმინია-ვოლფსბურგი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 18.30 | 005 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 18.30 | 006 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 007 | ლევერკუზენი-ბოხუმი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 18.30 | 008 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 20.30 | 009 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 20.30 | 010 | შალკე-ჰერტა | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა. III ტური | | | | | | |
| | | 23 აგვისტო | | | | | | |
| 22.00 | 011 | ლიუბეკი-სტ. პაული | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 22.00 | 012 | აინტრახტი-ფიურტი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 22.00 | 013 | ტრიერი-კარლსრუე | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 18.00 | 014 | უნიონი-ობერჰაუზენი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 18.00 | 015 | ბრაუნშვაიგი-როიტლინგენი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 18.00 | 016 | ალენი-ფრაიბურგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 18.00 | 017 | დუისბურგი-ბურგჰაუზენი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 18.00 | 018 | მაინცი-ბაბელსბერგი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| | | 26 აგვისტო | | | | | | |
| 23.15 | 019 | ალემანია-კიოლნი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). V ტური | | | | | | |
| | | 23 აგვისტო | | | | | | |
| 20.45 | 020 | პადერბორნი-აუე | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 22.30 | 021 | დინამო-კილი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 22.30 | 022 | ბაბელსბერგი-ლერქუზენი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 22.30 | 023 | ვუპერტალი-ერფურტი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | 24 აგვისტო | | | | | | |
| 17.00 | 024 | კიოლნი(მ)-ოსნაბრიუკი | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| 17.00 | 025 | ქემნიცი-ჰამბურგი(მ) | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 026 | ქემნიცი-ჰამბურგი(მ) 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 17.00 | 027 | ფორტუნა-ლევერკუზენი(მ) | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 17.00 | 028 | მიუნსტერი-ესენი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 17.00 | 029 | ვერდერი(მ)-დორტმუნდი(მ) | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VII ტური | | | | | | |
| | | 23 აგვისტო | | | | | | |
| 21.30 | 030 | ჰოფენჰაიმი-ბაიერნი(მ) | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 22.00 | 031 | ელვერსბერგი-აალენი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| | | 24 აგვისტო | | | | | | |
| 17.30 | 032 | ზაარბრიუკენი-ვალდჰოფი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 033 | ზაარბრიუკენი-ვალდჰოფი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 17.30 | 034 | აინტრახტი(მ)-ნოიკირხენი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| 17.30 | 035 | როიტლინგენი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1,09 | 1,19 | 2 |
| 17.30 | 036 | დარმშტადტი-ფიურტი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 17.30 | 037 | უნტერჰახინგი-ულმი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 17.30 | 038 | კობლენცი-ოფენბახი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 18.00 | 039 | ზიგენი-შვაინფურტი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| | | ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური | | | | | | |
| | | 23 აგვისტო | | | | | | |
| 24.00 | 040 | ჩელსი-მანჩესტერი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| | | 24 აგვისტო | | | | | | |
| 16.15 | 041 | სიტი-ნიუკასლი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 042 | ბირმინგემი-ბლეკბერნი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 043 | ბოლტონი-ჩარლტონი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 044 | ლივერპული-საუთჰემპტონი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 045 | ლივერპული-საუთჰემპტონი0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 19.00 | 046 | მიდლსბრო-ფულჰემი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 047 | სანდერლენდი-ევერტონი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 19.00 | 048 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 19.00 | 049 | ვესტ ჰემი-არსენალი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 21.30 | 050 | ვესტ ბრომვიჩი-ლიდსი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,55 | 1,28 | 1,28 |
| | | ინგლისი. I დივიზიონი. IV ტური | | | | | | |
| | | 24 აგვისტო | | | | | | |
| 19.00 | 051 | ბრედფორდი-გრიმსბი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 052 | ბერნლი-შეფილდი | 2,2 | 3,1 | 2,9 | 1,28 | 1,25 | 1,49 |
| 19.00 | 053 | კოვენტრი-კრისტალ პალასი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 054 | დერბი-ვულვერჰემპტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 055 | ლესტერი-რედინგი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 056 | მილუოლი-იფსვიჩი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 19.00 | 057 | ნორვიჩი-ჯილინგემი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 19.00 | 058 | პორტსმუთი-უოტფორდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 059 | პრესტონი-სტოუკი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 060 | უენსდეი-როტერჰემი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 19.00 | 061 | უოლსოლი-ნოტინგემი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 062 | უიმბლდონი-ბრაიტონი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| | | ინგლისი. II დივიზიონი. IV ტური | | | | | | |
| | | 23 აგვისტო | | | | | | |
| 23.45 | 071 | ნორთჰემპტონი-ბლეკპული | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | 24 აგვისტო | | | | | | |
| 15.00 | 072 | მენსფილდი-ჩესტერფილდი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 073 | ბრისტოლი-უიკომი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 074 | ჩელტენჰემი-პლიმუთი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 075 | კოლჩესტერი-ბრენტფორდი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 076 | ჰადერსფილდი-ქრიუ | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 077 | ლუტონი-ბარნსლი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 078 | ნოტსი-უიგანი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 079 | ოლდემი-ტრანმერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 080 | პორტ ვეილი-სტოკპორტი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 081 | ქუინს პარკი-პიტერბორო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 082 | სუინდონი-კარდიფი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | ინგლისი. III დივიზიონი. IV ტური | | | | | | |
| | | 23 აგვისტო | | | | | | |
| 19.00 | 095 | ბოსტონი-ლინკოლნი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 19.00 | 096 | კემბრიჯი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 097 | კარლაილი-როვერსი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 098 | ჰალი-ბერი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 19.00 | 099 | კიდერმინსტერი-ექსეტერი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 100 | მაკლსფილდი-რექსემი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 101 | ოქსფორდი-საუთენდი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 102 | როჩდეილი-დარლინგტონი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 103 | სკანთორპი-იორკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 104 | შრუსბერი-რაშდენი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 105 | სუონსი-ბორნმუთი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 106 | ტორკი-ჰარტლპული | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 12 | მეცი(ლ) | | 30.11 | : | | | | 09.11 | 11.09 | | | 26.10 | | 21.09 | | 05.10 | 18.12 | 0:0 | | | | 3 | 1 | 1 | 1 | 23 | 4 | 0 | 1 | 0 | 00 | 1 | 1 | 0 | 1 | 23 | 3 |
| 13 | სენტ ეტიენი(13) | 14.09 | 26.10 | 04.09 | | | | 30.11 | 05.10 | | 18.12 | 09.11 | | | | | | : | | 3:0 | | 3 | 1 | 0 | 2 | 32 | 3 | 1 | 0 | 0 | 30 | 3 | 0 | 0 | 2 | 02 | 0 |
| 14 | ვალანსი(ლ) | | | | | 04.09 | 28.09 | : | 16.11 | | | 04.12 | 19.10 | 02.11 | | | | | 2:0 | | 14.09 | 3 | 1 | 0 | 2 | 34 | 3 | 1 | 0 | 0 | 20 | 3 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| 15 | ბოვე ოაზ(7) | | | 28.09 | | | 14.09 | | 02.11 | | 1:0 | | | 19.10 | 30.11 | | | | 18.12 | 04.09 | : | 3 | 1 | 0 | 2 | 13 | 3 | 1 | 0 | 0 | 10 | 3 | 0 | 0 | 2 | 03 | 0 |
| 16 | ამიენი(12) | 0:1 | | 04.12 | 05.10 | | | | 31.08 | | 26.10 | | | 1:0 | 11.09 | 21.09 | | 02.11 | | 16.11 | | 3 | 1 | 0 | 2 | 13 | 3 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 | 0 | 0 | 1 | 02 | 0 |
| 17 | რეიმსი(ლ) | 1:2 | | 1:3 | | 09.11 | | | 31.08 | | 21.09 | | | | 05.10 | 11.09 | | | 26.10 | 04.12 | 30.11 | 3 | 0 | 1 | 2 | 25 | 1 | 0 | 0 | 2 | 25 | 0 | 0 | 1 | 0 | 00 | 1 |
| 18 | ნანსი ლორენი(9) | | 0:0 | | 04.09 | 14.09 | 19.10 | | 04.12 | | | 2:3 | 02.11 | 16.11 | | | : | | | | 28.09 | 3 | 0 | 1 | 2 | 25 | 1 | 0 | 1 | 1 | 23 | 1 | 0 | 0 | 1 | 02 | 0 |
| 19 | ისტრი(17) | 11.09 | | 1:1 | 26.10 | | 0:4 | 05.10 | | | 30.11 | | 31.08 | | 21.09 | | | | 09.11 | | 18.12 | 3 | 0 | 1 | 2 | 18 | 1 | 0 | 1 | 1 | 15 | 1 | 0 | 0 | 1 | 03 | 0 |
| 20 | გენიონი(14) | | 21.09 | 16.11 | | 26.10 | 04.12 | | 0:2 | 05.10 | | 11.09 | 0:2 | 31.08 | | | 09.11 | | | | | 3 | 0 | 0 | 3 | 17 | 0 | 0 | 0 | 2 | 04 | 0 | 0 | 0 | 1 | 13 | 0 |

## ჩეხეთი. უმაღლესი ლიგა. 2001-02. IV ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | | | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | მს | 2001-02 | 2000-01 | 1999-00 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.08.02 | 20.00 | 194 | ბანიკ3:0; 3:1ბუდეიოვიცე; ტეპლიცე1:0 სპარტა | V | სინოტი 0:2ლიბერეცი; სიგმა1:1; 1:2იაბლონეცი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 | : | 1:0 3:1 | 1:2 2:0 | - |
| 24.08.02 | 17.25 | 196 | ბუდეიოვიცე2:1; 1:5ბანიკი; 0:1სპარტა ტეპლიცე | V | სლავია ბოჰემიანსი4:1; 1:1ჩრადეც კრალოვე; | 3,2 | 3,0 | 2,2 | 1,54 | 1,3 | 1,26 | : | 1:2 0:3 | 2:0 0:3 | 1:1 1:0 |
| 24.08.02 | 20.00 | 197 | ბრნო2:3; 1:4სლავია; ბუდეიოვიცე2:3 ბოჰემიანსი | V | ლიბერეცი სინოტი2:0; 1:0ბრნო; 0:0სიგმა | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 | - | 2:1 2:3 | 0:0 0:3 | 2:0 0:2 |
| 25.08.02 | 19.30 | 198 | 1:1ზლინი; პრჟიბრამი1:0; სინოტი2:1 იაბლონეცი | V | ჟიჟკოვი 3:2ჩრადეც კრალოვე; ზლინი1:0; 1:1ბლშანი | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 | - | 1:2 1:0 | 2:2 0:0 | 3:0 0:0 |
| 25.08.02 | 19.30 | 199 | იაბლონეცი1:1; 0:1ჟიჟკოვი; ბანიკი1:1 ზლინი | V | ჩრადეც კრალოვე ჟიჟკოვი2:3; 0:1ბლშანი; სლავია1:1 | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 | - | - | - | - |
| 25.08.02 | 19.30 | 200 | 0:1იაბლონეცი; ბრნო0:0; პრჟიბრამი | V | ბლშანი 0:1სიგმა; ჩრადეც კრალოვე1:0; ჟიჟკოვი1:1 | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 | - | 3:1 1:0 | 1:1 3:0 | 1:0 1:2 |
| 25.08.02 | 19.30 | 201 | ბლშანი1:0; 1:1სინოტი; ლიბერეცი0:0 სიგმა | V | ბრნო 3:2ბოჰემიანსი; ლიბერეცი0:1; 0:0პრჟიბრამი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 | - | 0:0 1:2 | 2:0 3:0 | 0:1 1:1 |
| 26.08.02 | 19.00 | 202 | 1:2ტეპლიცე; სპარტა1:3; 3:2ბოჰემიანსი ბუდეიოვიცე | V | ბანიკი 0:3სპარტა; ტეპლიცე5:1; 1:1ზლინი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 | - | - | 1:0 0:2 | 2:2 1:1 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სპარტა პრაღა(2) | | | 20.10 | | | | 3:0 | | 15.09 | | 1:0 | 17.11 | 29.09 | | : | 03.11 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 | 2 | 0 | 0 | 40 | 6 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 2 | სლოვანი ლიბერეცი(1) | : | | | | | | 29.09 | | 20.10 | 22.09 | 01.09 | 03.11 | 17.11 | | 2:0 | | 3 | 2 | 1 | 0 | 30 | 7 | 1 | 0 | 0 | 20 | 3 | 1 | 1 | 0 | 10 | 4 |
| 3 | ვიქტორია ჟიჟკოვი პრაღა(3) | | 27.10 | | | 01.09 | 10.11 | | | | | | 1:0 | 22.09 | | 07.10 | : | 3 | 2 | 1 | 0 | 53 | 7 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 1 | 0 | 43 | 4 |
| 4 | ნისოუს იაბლონეცი(8) | 27.10 | 15.09 | : | | | | 10.11 | | | | | | 1:0 | | 2:1 | 07.10 | 3 | 2 | 1 | 0 | 42 | 7 | 2 | 0 | 0 | 31 | 6 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 5 | სიგმა ოლომოუცი(10) | 10.11 | 0:0 | | 29.09 | | | | : | 1:0 | | 27.10 | | | 15.09 | | | 3 | 1 | 2 | 0 | 21 | 5 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 6 | სლავია პრაღა(5) | 22.09 | 07.10 | | : | 17.11 | | | 27.10 | 03.11 | | | 01.09 | | | | 4:1 | 2 | 1 | 1 | 0 | 52 | 4 | 1 | 0 | 0 | 41 | 3 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 7 | ბანიკი ოსტრავა(6) | | | 17.11 | | : | 20.10 | | 07.10 | | | 5:1 | | 01.09 | 03.11 | 22.09 | | 3 | 1 | 1 | 1 | 65 | 4 | 1 | 0 | 0 | 51 | 3 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| 8 | ბობი ბრნო(9) | 01.09 | 0:1 | 03.11 | 17.11 | | | | | 29.09 | : | 22.09 | | | 20.10 | | | 3 | 1 | 1 | 1 | 33 | 4 | 0 | 0 | 1 | 01 | 0 | 1 | 1 | 0 | 32 | 4 |
| 9 | ხმელი ბლშანი(14) | | | 1:1 | 01.09 | | | 27.10 | | | 07.10 | | : | | 1:0 | 10.11 | 22.09 | 3 | 1 | 1 | 1 | 22 | 4 | 1 | 1 | 0 | 21 | 4 | 0 | 0 | 1 | 01 | 0 |
| 10 | ჩესკე ბუდეიოვიცე(ლ) | 1:3 | | 29.09 | 20.10 | 03.11 | 15.09 | : | | | | | | | 17.11 | | | 3 | 1 | 0 | 2 | 57 | 3 | 0 | 0 | 1 | 13 | 0 | 1 | 0 | 1 | 44 | 3 |
| 11 | ტეპლიცე(7) | | | 15.09 | 03.11 | | : | | | 17.11 | 2:1 | | | 20.10 | 29.09 | | | 3 | 1 | 0 | 2 | 37 | 3 | 1 | 0 | 0 | 21 | 3 | 0 | 0 | 2 | 16 | 0 |
| 12 | ზლინი(ლ) | | | | 1:1 | 22.09 | | 1:1 | 10.11 | | 27.10 | 07.10 | | | : | | | 3 | 0 | 2 | 1 | 23 | 2 | 0 | 2 | 0 | 22 | 2 | 0 | 0 | 1 | 01 | 0 |
| 13 | დუკლა პრჟიბრამი(13) | | | | | 07.10 | : | | 0:0 | : | 10.11 | | 15.09 | | | | 27.10 | 2 | 0 | 1 | 1 | 01 | 1 | 0 | 1 | 0 | 00 | 1 | 0 | 0 | 1 | 01 | 0 |
| 14 | ჩრადეც კრალოვე(12) | 07.10 | 10.11 | 2:3 | 22.09 | | 1:1 | | | | | | | : | | 27.10 | 01.09 | 3 | 0 | 1 | 2 | 35 | 1 | 0 | 1 | 1 | 34 | 1 | 0 | 0 | 1 | 01 | 0 |
| 15 | სინოტ სტარე მესტო(11) | | | | | 1:1 | 29.09 | | 15.09 | | 01.09 | : | 20.10 | 03.11 | | | 17.11 | 3 | 0 | 1 | 2 | 25 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| 16 | ბოჰემიანსი პრაღა(4) | | : | | | 20.10 | | 15.09 | 2:3 | | 2:3 | 10.11 | 29.09 | | | | | 3 | 0 | 0 | 3 | 5:10 | 0 | 0 | 0 | 2 | 46 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |



დეს ბერნი, ჯოდი მორისო და ჯონ ტერი

# არ დაინდო ფეხბურთელები
## იარაღი, სისხლი და დებოში ბრიტანეთში ხახვი არ არის

ალბიონელ ბიჭებს ციხეში ყურყუტი ემუქრებათ. აი, მათი გვარსახელებიც — 21 წლის ჩელსელი ჯონ ტერი, მისი 23 წლის თანაგუნდელი ჯოდი მორისო და პირველი დივიზიონის „უიმბლდონის" 21 წლის დეს ბერნი.

ამ სამეულს იანვარში ლონდონის ღამის კლუბ „ველინგტონში" მოუხდა ინცინდენტი — დებოში აუტეხავთ და კლუბის კუნთმაგარი კარისკაციც მიალამაზებიათ.

გუშინ კი ამ საქმესთან დაკავშირებით 13-დღიანი სასამართლო მოკვლევით დასრულდა და ყველა პროცედურული ნორმები მომართულია ვერდიქტის გამოსატანად.

ჯონ ტერი და დეს ბერნის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გარდა იარაღის უკანონო ტარებაში ედებათ ბრალი. ტერის კიდევ ერთი მძიმე ბრალდება წაუყენეს — ახმახი კარისკაცის დაჭრა.

თუმც კარისკაცი, რომელსაც ტრევოლი თილუოლი ჰქვია, იარაღით კი არა, ბოთლით გახლდათ სისხლნადენი.

მოსამართლე ფაბიან ივანსმა მსაჯულებს მიმართა, ჯეელების ფეხბურთელობის გამო ამ საქმეს სხვა დანარჩენი მსგავსი საქმეებისგან ნუ განასხვავებთო.

„თქვენ არ უნდა ფიქრობდეთ ვერდიქტის შედეგებზე" — ურჩია მსაჯულებს მოსამართლემ, რადგან მავანნი მსაჯულებზე ზეწოლას ცდილობენ.

ჯონ ტერის ადვოკატი მიიჩნევს, რომ მსაჯულებმა მის კლიენტს მხრებიდან უნდა მოუხსნან ბრალდების სიმძიმე, რადგან 21 წლის ტერის ათასობით ზალხისთვის და ერისთვის სიხარულის მოტანა შეუძლიაო.

— ტერი ხომ ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანიც გახლავთ. ადვოკატი ირწმუნება, რომ ტერის ვერავინ დაუმტკიცებს დანაშაულის განზრახ ჩადენას, ეს შეუძლებელია.

ასეა თუ ისე, საქმე სერიოზულადაა. ბრიტანული კანონებით, ადამიანისთვის განზრახ მიყენებული დაზიანებისთვის მაქსიმალური სასჯელი ხუთწლიანი პატიმრობაა, ხოლო დებოშიორობისთვის სამწლიანი.

**დავით თავართქილაძე**

# სიჩევი რომანცევის ნერვებს და დისკვალიფიკაციას შეეთამაშა

რუსთა ახლადაკიაფებულ ვარსკვლავ დმიტრი სიჩევს დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ეს 19 წლის ფორვარდი საუკეთესო იყო რუსეთის ნაკრებში მუნდიალზე და ბევრმა ცნობილმა კლუბმაც დაადგა თვალი.

გუშინ კი სიჩევის კლუბმა მოსკოვის „სპარტაკმა" ოფიციალურად გაავრცელა ინფორმაცია, რომ ფეხბურთელი და გუნდის თავკაცი ოლეგ რომანცევი შეკამათდნენ — სიჩევმა კონტრაქტის გაუქმება მოითხოვა და თვითნებურად დატოვა კლუბი, ხოლო ამის შემყურე რომანცევს ნერვიული შეტევა მოუვიდა და საავადმყოფოშიც გააქანეს.

„სპარტაკის" პრესატაშემ უარყო ხმები, თითქოს კლუბი კუთვნილს ბოლომდე არ უხდიდა სიჩევს და გამოთქვა ვარაუდი, რომ ინციდენტი ფეხბურთელის გარშემო მოტრიალე, აგენტების წაქეზებით მოხდა.

ახლა სპარტაკელები ურჩი სიჩევის დასჯას აპირებენ — კლუბს სურს ფეხბურთელს საშინაო და საერთაშორისო სარბიელზეც აეკიდოს დისკვალიფიკაცია, ცხადია, რუსეთის საფეხბურთო კავშირის შემწეობით.

სხვათა შორის, დმიტრი სიჩევის გუნდში აყვანა გუშინდელი რუსეთ — შვედეთის მატჩისთვის ვალერი გაზაევმა ბოლო მომენტში გადაიფიქრა — სიჩევი გაფართოებული სიიდან ამოაგდო.

**დავით თავართქილაძე**



დმიტრო სიჩევი

## ფეხბურთის რუკასთან



ჩინეთის ნაკრების თავდამსხმელი ჩენ იანგი გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „ზანკტ პაულში" გადავიდა. ჩენ იანგმა ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მანამდე კი ფრანკფურტის „აინტრახტის" ღირსებას იცავდა.

საფრანგეთის ნაკრებისა და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე ფაბიან ბარტეზს მცირე ტრავმა აწუხებს და კლუბს უახლოეს ტურში, „ჩელსისთან" მატჩში ვერ დაეხმარება. მანჩესტერელთა თავკაცი ალექს ფერგიუსონი იმედოვნებს, რომ ბარტეზი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩს სრულიად ჯანმრთელი შეხვდება. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში ინგლისელები 0:1 დამარცხდნენ უნგრულ „ზალაეგერსეგთან".

გერმანელმა სპეციალისტმა, ბოლოხანს სკანდალებში გახვეულმა კრისტოფ დაუმმა „კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელობა იუარა, განაცხადა, რომ კლუბთან მოლაპარაკებებსაც კი არ დაიწყებს. არადა, „კაიზერსლაუტერნის" პრეზიდენტი იურგენ ფრიდრიხი ირწმუნებოდა, სექტემბერში დაუმს შევხმიანებით და იმედი მაქვს, შევთანხმდებით კიდეცო.

რუსული „სპარტაკის" მცველ დმიტრი პარფიონოვის ჯანმრთელობას ექიმები დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ პარფიონოვმა ფეხი მოიტეხა. „ტკივილი უკვე არ მაწუხებს. ნორმალურ განწყობაზეც ვარ. ერთი სული მაქვს, როდის განვაახლებ თამაშს" — განაცხადა „სახალხო გუნდის" ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა.

ესპანური „რეალის" ბრაზილიელი ნახევარმცველი სავიო შესაძლოა, ფრანგულ „ბორდოში" გადავიდეს. კლუბებმა უკვე მიაღწიეს შეთანხმებას, ახლა მთავარია, ფეხბურთელი და „ბორდო" მორიგდნენ. სავარაუდოდ, სავიოს ფრანგები სამწლიან კონტრაქტს შესთავაზებენ.

ჰოლანდიური „აიაქსის" შვედ თავდამსხმელ ზლატან იბრაგიმოვიჩს ინგლისური „სანდერლენდი" ეკურკურება. ბრიტანელები 20 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ „აიაქსს" 9,5 მილიონ დოლარს სთავაზობენ. ახლა ყველაფერი თავად იბრაგიმოვიჩზეა დამოკიდებული. თუ ის მოისურვებს, „სანდერლენდი" უმალ კონტრაქტს აახლებს.

მოლდოვის ნაკრების მწვრთნელმა ვიქტორ პასულკომ სპორტული რეჟიმის დარღვევისთვის ნაკრებიდან ორი ფეხბურთელი — სერგეი როგაჩოვი და ანდრიან სოსნოვსკი დაითხოვა. ისინი რუსულ „სატურნში" თამაშობენ. პასულკომ ურჩ ფეხბურთელებს ბაზაზე დაგვიანება არ აპატია და ნაკრების კარიც მიუხურა.


24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186



იყიდება!



ქუთაისში

☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდიანაპოლისი (აშშ) 29 აგვისტო — 8 სექტემბერი**

*ერთი კვირაც და ინდიანაპოლისი ახმაურდება. 16 გუნდი მსოფლიოს მე-14 ჩემპიონატს დაიწყებს და მეათე დღეს ახალი ჩემპიონიც გვეცოდინება. ბოლო იუგოსლავიაა, რომელსაც საბოლოო შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია, ევროპელთაგან ეს მხოლოდ ორმა გააკეთა – გერმანიამ და რუსეთმა*

# ნატურალური აღარაფერია
# გერმანიის ნაკრებიც კაი სასტუმროა

*გერმანია წლეულს ისეთი ძლიერია, როგორიც არასდროს. ამ ნაკრებს საძირკველი რამდენიმე წლის წინ ჩაეყარა, მას მერე, რაც გერმანელებმა თავიანთ ჯერჯერობით ერთადერთ წარმატებას — ევროჩემპიონობას მიაღწიეს. არადა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორთა შორის ვის აღარ ნახავთ — ეგვიპტე, უნგრეთი, ბულგარეთი და სხვანი, გერმანიას კი ამ მოზრდილ სიაში მოხვედრის პატივი მხოლოდ ერთხელ ერგო, როგორც 1993 წლის ევროპული ოქროს მომგებს. ამ ტიტულსაც ამადლიან — მასპინძლები იყავით და გეხმარებოდნენო*

მის მერე წამოვიდა, უფრო სწორად, წამოიზარდა და შეირჩა თაობა, რომელმაც შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალში გააღწია და რომ არა მსაჯების მასპინძელ თურქებისადმი მიმხრობა, ფინალსაც უწევდა — დირკ ნოვიცკის მოედავნენ, სირენის მერე ჩააგდეო.

რატომ არის თაობა შერჩეული? იმიტომ, რომ გერმანიის ნაკრებში სამი-ოთხი ნაღდი გერმანელი თუ თამაშობს, დანარჩენები ნატურალიზებულნი არიან. თუმც არის ერთი გერმანელი, რომლის გაქანებისა არავინაა. დირკ ნოვიცკის ნაკრებში კი არა, ნბა-შიც ძლივს უწევენ კონკურენციას, იგი პროფესიული ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. ამიტომაც იყო, „დალასის" მეპატრონე მარკ კუბანი რომ ჩასჩიჩინებდა, უარი თქვი ნაკრებზე, რომ დაშავდე, ჩვენც გვაზარალებ და თავსაც წაიხდენო. ნოვიცკი სხვებივით არ შემდრკალა, იმათსავით, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს თავ-თავიანთ კლუბებში ნბა-ს ახალი სეზონისთვის მზადება რომ არჩიეს. ნოვიცკი ინდიანაპოლისში, ასე ვთქვათ, „მოხალისედ" წავიდა.

ნოვიცკი უდავო ლიდერია. მას შეუძლია, მარტომ მოიგოს თამაში, მაგრამ მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო და მას გვერდში არაერთი გაგერმანელებული უცხოტომელი ამოუყენეს. პეშიჩს და ტომიჩს იუგოსლავიური ფესვები აქვთ, დემირელი თურქია, ოკულაია და არიგბაბუ ზანგები არიან. ის კი არა, შარშანდელთან შედარებით გერმანიის ნაკრები დაწმენდილია — წოწოლა ამერიკელი შონ ბრედლი და იუგი სვეტო პაპიჩი მწვრთნელმა ენრიკ დეტმანმა შერჩეულთაგან ამოშალა.



დირკ ნოვიცკი

შემადგენლობა: მისატ დემირელი (ალბა), პასკალ როლერი (სკაილაინერზი), მისან ნიკაგბატსე (ოლიმპიაკოსი), მარკო პეშიჩი (ალბა), სტეფანო გარისი (ალბა), ჰენრიკ როდლი (ალბა), ჯორჯ ლუტკე (ალბა), ადემოლა ოკულაია (ბარსელონა), დირკ ნოვიცკი (დალასი), სტეფენ არიგბაბუ (კიოლნი), პატრიკ ფემერლინგი (ბარსელონა), რობერტ მარასი (სკაილაინერზი), სარეზერვონი:, დრაგენ ტომიჩი (კიოლნი), მარვინ ვალობი (კიოლნი)

მთავარი მწვრთნელი: ენრიკ დეტმანი



ანდრეი კირილენკო

# რუსები:
# რა თქმა უნდა, ცსკა და სხვანი

**რუსებს** წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხი ვერცხლისმედალოსანი ჰყავთ — ზახარ პაშუტინი, სერგეი პანოვი, ვასილი კარასიოვი და ნიკიტა მორგუნოვი საბერძნეთში ახლდნენ ნაკრებს.

რუსულ საკალათბურთო ტრადიციებზე საუბარი ჩასაძინებელ-შორსწამყვანი თემაა — რასაც დამოუკიდებლად მიაღწიეს, ორი მსოფლიოს ვერცხლია, მანამდელი საბჭოთა ნაკრების წარმატებების მარტო რუსებზე მიწერა კი უსამართლობა იქნება.

მათი ლიდერი „იუტა ჯაზში" მოთამაშე ანდრეი კირილენკოა, მაგრამ მხოლოდ მის იმედზე როდი მიდიან რუსები ოკეანგაღმა. „ჯაზმენი" ჯერაც ახალგაზრდა და გამოუცდელია, იმის მიუხედავად, რომ ბრწყინვალე სადებიუტო სეზონი ჰქონდა ნბა-ში. კირილენკო კლასით ეგებ ყველასაც სჯობდეს, მაგრამ სტანისლავ ერიომინს არანაკლებ ეიმედება რუსლან ავლეევისა, რომელიც ევროლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო „ურალ-გრეიტის" შემადგენლობაში და ბოლონიურმა „კინდერმა" გადაიბირა.

საერთოდ, რუსეთის ნაკრებში ცოტა ლეგიონერია. ხსენებულთა გარდა იქ არის ნიკა ცქიტიშვილის ყოფილი და მანუჩარ მარკოიშვილის მომავალი თანაგუნდელი, ჭარმაგი უკანაზაზელი სერგეი ჩიკალკინი. ბოლო „უცხოელი" კი ოლიმპიაკოსელი ალექსეი სავრასენკოა, ვისაც ორმაგი მოქალაქეობა აქვს და ბერძნები ამანატიდისად იცნობენ. ამ კალათბურთელს ელინები რუსებს 2001 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ ედავებოდნენ, მაგრამ ის საქმე რუსებმა მთავრობამდე მიიტანეს და სათავისოდ მოაგვარეს.

ბირთვი ცსკა-დანაა. ჩვენებური „მაკაბის" შემარცხვენელი ავტოდორელიც ჰყავთ...

**შემადგენლობა:** ზახარ პაშუტინი (ცსკა), ევგენი პაშუტინი (ცსკა), იგორ კუდელინი (უნიკსი), სერგეი ჩიკალკინი (ბენეტონი), ვასილი კარასიოვი (ურალ გრეიტი), სერგეი პანოვი (ცსკა), ვიქტორ ხრიაპა (ცსკა), ანდრეი კირილენკო (იუტა ჯაზი), რუსლან ავლეევი (კინდერი), ალექსანდრ ბაშმინოვი (ცსკა), ნიკიტა მორგუნოვი (ავტოდორი), ალექსეი სავრასენკო (ოლიმპიაკოსი)

**მთავარი მწვრთნელი:** სტანისლავ ერიომინი

# რა ყველას ახლა ასტკივდა ფეხი?!
# ბრაზილიამ ილარიო დაკარგა

**ერთი** ნბა-ელიც გამოაკლდა მსოფლიოს ჩემპიონატს. ჩვენთვის ნაცნობი ნენე ილარიო ნიკა ცქიტიშვილის თანაგუნდელი და თანდრაფტელი. „დენვერ ნაგიტსის" ცნობით, ბრაზილიელ ახალწვეულს წინა კვირას მიღებული ტრავმა გაუმიზევდა და მოსაშუშებლად მინიმუმ ერთი თვე დასჭირდება.

ილარიო ცქიტიშვილთან ერთად „დენვერის" იმედად მიიჩნევა. მათთვის „ნაგიტსმა" დრაფტის მეხუთე არჩევანი დახარჯა და შარშანდელ ლიდერ ანტონიო მაკდაიესს შეელია. ამიტომაც გამორიცხული არაა, ამ საქმესაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსალოდნელი ტრავმის შიშის სუნი უდიოდეს, მით უფრო, რომ ილარიოს დაშავებაზე „დენვერი" აქამდე არაფერს იტყობინებოდა, თუმც ვინ იცის, ეგებ ვცდებით.

თავად ილარიო პატრიოტულად ალაპარაკდა: „იმედგაცრუებული ვარ. ვწუხვარ, ჩემს ქვეყანას ინდიანაპოლისში რომ ვერ წარმოვაჩენ. თანაგუნდელებს წარმატებას ვუსურვებ, დიდი იმედი მაქვს, რომ ამას უჩემოდაც მიაღწევენ. გამოჯანმრთელების შემდეგ პირველი შესაძლებლობისთანავე ვითამაშებ ბრაზილიის ნაკრებში".

ილარიო რომ გამოჯანმრთელდება, ნბა-ს სეზონი დაიწყება და თავიც რომ მოიკლას, ნაკრებში სათამაშოდ აღარავინ გაუშვებს.

ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს მარტო ვარსკვლავები არ უარობენ. ვარსკვლავობის მსურველებიც კი არ მიდიან ინდიანაპოლისში.

**ირაკლი ბერტაია**



ნენე ილარიო

# სექსკალათბურთელი ქალებმა ჩააყუდეს

**სილვესტერ**, იგივ „სლაი" უილიამსი — აი, დასტური იმისა, რომ ნბა-ს დიდი ოჯახის ყველი წევრი იდეალური მოქალაქის ნიმუში ვერაა.

ვერ გეტყვით, სად და როგორ გაიზარდა ნბა-ს ყოფილი მოთამაშე სლაი უილიამსი, იცნობს თუ არა საკუთარ მამას და ძარცვავდა თუ არა მჩქეფარე ჭაბუკობაში აფთიაქებს თუ მარკეტებს, მაგრამ ის კი უტყუარია, რომ სლაი არ იქნება არც პირველი და არც უკანასკნელი ნბა-ელი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის გამო კონსტიტუციისა და მოსამართლის ნებით რამდენიმე წლით სატუსაღოში დაიდებს ბინას.

რა დააშავა ასეთი უილიამსმა? არაფერი ისეთი, რითაც ამერიკული საზოგადოების ჭუჭყიანი ფენის ხალხს გააკვირვებს. მას ბრალად ედება ქალის გაუპატიურება, კიდნეპინგი (ადამიანის მოტაცება), ყაჩაღობა, სოდომური ცოდვები და კიდევ არაერთი სისხლის სამართლის დანაშაული. მალე სასამართლო პროცესი იწყება, ზოგ დანაშაულს დაუმტკიცებენ, ზოგსაც ვერა, ზოგი კი თავად ბრალდებულმა უკვე აღიარა.

უილიამსი, რომელიც ამჟამად 44 წლისაა და კარგა ხანია, კალათბურთის თამაშით აღარ შოულობს არსობის პურს, წლეულს, 11 იანვარს, დააკავეს მავანი ქალის საჩივრის საფუძველზე. ექსკალათბურთელს ქალი უჩიოდა, მომიტაცა და ჩემი ნების საწინააღმდეგოდ 24 საათი სადღაც მამყოფებდაო. სასამართლომ ეს დანაშაული მეორე კატეგორიის გატაცებად ჩათვალა. სანამ უილიამსი წინასწარი პატიმრობის საკანში კვანძის გახსნას ელოდა (და ახლაც ელის), გამოჩნდა მეორე, 42 წლის ქალი, რომელმაც უილიამსს აგრეთვე დაადო ხელი — ძალით დაამყარა ჩემთან სექსუალური კავშირიო.

„სლაი უილიამსმა აღიარა ორივე დანაშული, მაგრამ აქ არის ერთი გარემოება — ორივე ეს ქალი სლაის გელფრენდი იყო და მათი მონაყოლი ერთგვარად გაზვიადებულია — ამბობს უილიამსის ვექილი ჯეიმს ბარბერი — ჩემს კლიენტს ბრალი არ მიუძღვის სხვა დანაშაულებში და, ბუნებრივია, თავს დამნაშავედ არ ცნობს".

ნიუ იორკის შტატის ქალაქ ბრუმ ქანთრის სასამართლომ ფაქტობრივად დაასრულა წინასწარი მოკვლევა და მალე პროცესსაც დანიშნავს. მარტო იმ დანაშაულების გამო, რომლებიც უილიამსმა აღიარა, იგი დაისჯება 5 წლით თავისუფლების აღკვეთით, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე, უილიამსის საქმის ძიებისას რომ ამოტივტივდა. მათგან უმთავრესებია საჯარო მამათმავლობა და ძარცვა.

სლაი უილიამსი 1979 წლის დრაფტში აირჩია „ნიუ იორკ ნიქსმა", სადაც კალათბურთელმა ხუთი სრული სეზონი გაატარა. უილიამსი გახლდათ წევრი იმ „ბოსტონ სელტიქსისა", რომელმაც 1986 წელს ჩემპიონობა მოიპოვა. ოღონდ უილიამსს ჩემპიონობით ტკბობა არ დასცალდა. ის უცნობი მიზეზის გამო პლეი ოფამდე, რეგულარული ჩემპიონატის შუაწელს მოკვეთეს გუნდიდან.

უილიამსი ბოლო ორი წელიწადი ნიუ იორკის შტატის ქალაქ ბინჰემპტონში ცხოვრობდა. დაკავების დროს მუშაობდა რადიატორების ფაბრიკაში.

# ბერიკაცი ფიტჩი ფულს და სამართალს ეძებს

**კალათბურთის** დიდების დარბაზის წევრი, ყოფილი მწვრთნელი ბილ ფიტჩი „კლიპერსს" 4 მილიონ დოლარს, ანუ იმ კონტრაქტის პირობების შესრულებას სთხოვს, რომელიც კლუბმა 1998 წელს მისი გუნდიდან გაგდებით დაარღვია.

ფიტჩი ლეგენდარული მწვრთნელია, 25 წლის განმავლობაში თავკაცობდა ნბა-ს გუნდებს და ვინაიდან მუდამ ჯაგლაგ გუნდებში მუშაობდა, როგორც მწვრთნელს ნბა-სთვის უნიკალური შედეგი, 1000-ზე მეტი წაგება დაუგროვდა. ამის მიუხედავად, 1996 წელს, ნბა-ს დაარსების 50 წლისთავზე ის შეიყვანეს ასოციაციის ყველა დროის 10 საუკეთესო მწვრთნელს შორის, რაც უდავოდ დიდი აღიარებაა კაცისთვის, რომელმაც ძირითადად წაგებებით გაითქვა სახელი.

1997 წელს ფიტჩმა მინი-სასწაული ჩაიდინა, მუდმივად უხეირო გუნდი „ლოს ანჯელეს კლიპერსი" მოგება-წაგებების უარყოფითი ბალანსით გაიყვანა პლეი ოფში. მომდევნო სეზონში მან იგივე ველარ შეძლო, „კლიპერსმა" 82-თამაშიანი რეგულარული სეზონი 17 მოგებით და 65 მარცხით დაასრულა, რის გამოც კლუბის მამებმა ვეტერანი მწვრთნელი გუნდიდან გაუშვეს. კონტრაქტით მას კიდევ ორი წელი უნდა ეთავკაცა „კლიპერსისთვის" და საფასურად 4 მილიონი მიელო.

ფიტჩი ამბობს, რომ, იგი აღარ აპირებდა „კლიპერსთან" რაიმე საქმის დაჭერას, იმდენად იყო ამ კლუბზე გაბრაზებული, მაგრამ ვინაიდან ნბაში სამუშაო ველარ იშოვა, გადაწყვიტა, კუთვნილი მოეთხოვა. იგი შარშანდელს აქეთ აწუხებს ყოფილ უფროსებს, მაგრამ რაკი პირისპირ დალაპარაკებით ვერაფერი დასტყუა, ამბობს, სასამართლოს ძალით მივიღებ კუთვნილსო.

**კოტე ყორშია**

# ლაბაძე რუზეცკის ჩაენაცვლა

## ლინდსიმ იროდა ანერვიულა

**TD WATERHOUSE CUP**
ლონგ აილენდი. ნიუ იორკი
ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $

**პირველი წრე**

**რამონ დელგადო** (პარაგვაი) — ანდრე სა (ბრაზილია) 7:5, 4:6, 6:3; **ვინსენტ სპადია** (აშშ) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:4, 6:3; **პარადორნ შრიჩაფანი** (ტაილანდი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:1, 6:3; **ჯან-მაიკლ გემბილი** (აშშ) — ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) 7:5, 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — ოლივიე როშუ (ბელგია) 6:4, 1:6, 6:3

**მეორე წრე**

**პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) — პიტ სამპრასი (3, აშშ) 6:3, 6:7 (7:9), 6:4; **იუნეს ელ აინაუი** (4, მაროკო) — რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 5:7, 7:6 (7:5), 6:4; **ალექს კორეჩა** (5, ესპანეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 3:6, 7:6 (7:5), 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** (7, არგენტინა) — ჯეფ მორისონი (აშშ) 6:4, 6:3; **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) — მარიანო საბალეტა (10, არგენტინა) 6:4, 6:4; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:4)

ლონგაილენდური ტურნირის პირველსავე შეხვედრაში მარცხის მიუხედავად პიტ სამპრასი იხტიბარს არ იტეხს. მას კვლავაც სჯერა, რომ აშშ-ის ღია პირველობის მოგება ძალუძს.

„არ დაგავიწყდეთ, ვინ ვარ და სად ვითამაშებ იქითა კვირაში — გამოლმა ელავებოდა ყველას 13-გზის მესლემტიტულე — ფლეშინგ მედოუზი ის ადგილია, სადაც კაცი უნდა ბრწყინავდე და მეც ამ გაბრწყინების იმედი მაქვს".

„მე ის კაცი არა ვარ, შარშანდელივით რომ ვინმემ მიმბერტყოს — გეხსომებათ, ერთი წლის წინ ამის გაკეთება ლეიტონ ჰიუიტმა იკისრა. მე ჯერაც ფავორიტთა რიცხვს განვეკუთვნები და დავთრებიდან ჩემს ამოშლას ნურავინ იჩქარებს".

„ჩემი დომინირებისა და პირველჩოგნოსნობის ეპოქა დასრულდა, მაგრამ უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლის წყურვილი ჯერაც არ გამნელებია. ჩემი მიზანი კიდევ ერთი სლემტურნირის მოგებაა და იმედი მაქვს, ბედი ამჯერად ჩემს მხარეზე იქნება. ერთი ქეციანი გამარჯვება და ყველაფერი შეიძლება ალჩუზე დამიჯდეს..."

„დამარცხებები ასაკის მატებასთან ერთად მწარდება. როცა 20-ის ან 22-ის ხარ, წინ კიდევ 10 წელი გაქვს და არაფერი გადარდებს, მაგრამ როცა უკვე 30-ს გადასცდები, ბევრი შანსი აღარ დაგრჩენია. თითო წარუმატებელ ტურნირთან ერთად თითო დიდ შანსს ჰკარგავ".

„მთელ დარჩენილ კარიერას იმას მივუძღვნი, რომ დათმობილი ადგილი დავიბრუნო, ადგილი, სადაც ყოფნა ძალიან მინდა და სადაც ყოფნას ვიმსახურებ კიდეც".

ჩვენის მხრით, რამდენსამე ამბავს შეგახსენებთ.

სამპრასს უკვე ორი წელზე მეტია, აღარაფერი მოუგია. უკანასკნელი ტიტული მან 2000 წლის უიმბლდონზე მოიპოვა. წლეულს ნათამაშებ 6 სამაგარსაფრო მატჩიდან კი სამი მარცხის წილ მხოლოდ სამ გამარჯვებას მოიძევს.

ჰო, მართლა — ვგებ ვინმეს არ ახსოვდეს და — ლეიტონ ჰიუიტმა იგი შარშან სწორედ აშშ-ის ღია პირველობის ფინალში „მიბერტყა". ამ სლემტურნირზე დიად ელინოამერიკელს სულ 4-გზის გამარჯვებია, ფინალში კი იგი ორჯერ დაჩოგნეს — შარშან და შარშარწინ.

რაც შეეხება პიტის იმდღევანდელ მძლეველს, 20 წლის ფრანგ პოლ-ანრი მათიოს, ჩვენი ყურადღება მან წლევანდელ როლან გაროსზე ანდრე აგასისთან 5-სეტიანი (წარუმატებელი) ბულრაობის შემდეგ მიიპყრო. ნამატჩევს ის „კარიერის უდიდეს გამარჯვებასა" და „იმ საუცხოო გრძნობაზე" საუბრობდა, რაიც კაცს პიტ სამპრასისდარ დიადთა ძლევის შემდეგ ეუფლება ხოლმე.

ახლა სხვა შეხვედრებს რაც შეეხება.

პიტისგან განსხვავებით, ჯგუფად გაილალეს ჭაბუკმა ამერიკელებმა — ფიშმა, გემბილმა და სპადიამ. ამათგან ყველაზე სახელიანი ღლავი უკანასკნელმა დაიჭირა — მსოფლიოს ოდინდელმა მეორმეჩოგნე მაგნუს ნორმანმა მასთან სეტისმოუგებლად დათმო.

26 წლის შვედმა, ვისაც ლონგაილენდური ტურნირი 1999 და 2000 წლებში მოუგია, ერთი წლის წინ ბარძაყის ოპერაცია გადაიტანა და მის საკადრის ჩოგბურთს წლეულს მხოლოდ ცალკეულ გეიმში თუ თამაშობს. მსოფლიო კლასიფიკაციაში იგი ახლა 216-ე (!) საფეხურზეა, არადა ხსენებულ წლებში მან 10 ტიტულის მოქუჩება შეძლო და ამ მაჩვენებლით ყველა კაცი მეჩოგნის იმდროინდელ მონაგარს გადააჭარბა.

ძალიან დალხენილი არც თავად სპადიას კარიერის ბოლო წლებს ეთქმის. 1999-ში იგი რეიტინგსიის 20-ე ადგილზე ბოგინობდა, ამჟამად კი ხელთ ოდენ 70-ე ჩოგანი უპყრია.

ნამატჩევს ისინი ასეთ რამეებს ამბობდნენ:

მაგნუს ნორმანი: „ყველაზე მთავარი ისაა, რომ ბარძაყი საერთოდ აღარ მაწუხებს. თვე ან თვენახევარი მჭირდება, რათა სასურველი ფორმა დავიბრუნო. წლეულს ჩემი უმთავრესი მიზანი ზეასეულში შეღწევაა. ძალიან უცნაური გრძნობა გიპყრობს, როცა თავს კლასიფიკაციის სარდაფში იგულებ. მით უფრო, თუკი ადრე საპირველგვერდო და სამთავარსათაურო ბრძოლებშიც გიმონაწილევია. წინა სამი წლის განმავლობაში პირველი ათეულის გადაკითხვაც საკმარისი იყო, საკუთარი თავი რომ მეპოვნა, ახლა კი რამდენიმე გვერდი უნდა გადავფურცლო, ჩემი გვარი რომ აღმოვაჩინო. თუკი ზეასეულში შევძვერი, გაისად რიგიანი სეზონი მექნება".

ვინს სპადია: „კარგად მესმის მისი — რამდენიმე წლის წინ ხომ მეც თითქმის იქ ვიდექი, სადაც ის... ახლა ძალზედ მაგრად ვმუშაობ და იმედი მაქვს, მალე ისევ ზეოცეულში ვიქნები. თუმცა ეს სულ უფრო ძნელი ხდება — შეიძლება, ბევრ რამეს უკეთ ვაკეთებ, მაგრამ ჩემს მსგავსად სხვებიც უმატებენ. ვნახოთ, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ".

დანარჩენი მატჩებიდან კი კიდევ ორს გამოვარჩევთ. ერთში მაროკოელმა იუნეს ელ აინაუიმ, რომელმაც წლეულს სამი ტიტული მოიგო და კარიერის საუკეთესო სეზონს თამაშობს, ჭარმაგი რიჩარდ კრაიჩეკი, 1996 წლის მეუიმბლდონე დაჯაბნა.

ელ აინაუი ფინალი მემაგარსაფრეა, მაგრამ 30 წლის კრაიჩეკს მთელი შარშანდელი სეზონი იდაყვზე გადატანილი ოპერაციის გამო გაუცდა და, ნორმანის არ იყოს, ახლა მხოლოდ აქაიქ თუ აბჟუტდება ხოლმე.

მეორე შეხვედრაში კი ტაილანდელმა პარადორნ შრიჩაფანმა ბრაზილიელ ფერნანდო მელიგენის სძლია და, თუმც დიდი გარდანქეშანი ამათგან არც ერთია, თქვენთვის პარადორნის ნამატჩევ მსჯელობათა შეთავაზების ცდუნებას მაინც ვერ გავუძელით.

სხვა თუ არაფერი, ბიჭმა წინა კვირას ვაშინგტონურ ფინალამდე იომა და აზიის უპირველესი მეჩოგნე გახლავთ.

პარადორნი: „აშშ-ის სამაგარსაფრო სეზონს მოუთმენლად მოველოდი. ჰარდი ხომ ჩემი უსაყვარლესი საფარია. ცინცინატურ ჩაფლავებას თუ არ ჩავთვლით, ცუდად ნაღდად არ გავრჯილვარ. მართალია, ცოტა დავიღალე, მაგრამ როცა იმარჯვებ, როგორღაც თავისთავად იქოქები ხოლმე. ვცდილობ, ყოველ მატჩში ისე ვითამაშო, როგორც ეს ანდრე აგასის წინააღმდეგ უიმბლდონზე გამომივიდა".

და კიდევ — ბებერათა გამო ტურნირიდან გამოთიშული გრეგ რუზეცკის ნაცვლად იქ ჩვენიანი ირაკლი ლაბაძე გამოვა. ზედ აშშ-ის ღია პირველობის წინ ასეთ კაცურ ტურნირზე მოთელვა ირაკლისთვის ფრიად სარგო რამ უნდა იყოს.



ლინდსი დევენპორტი

**PILOT PEN TENNIS**
ნიუ ჰევენი [illegible]
ჰარდი. საპრიზო [illegible] $

**პირველი წრე**

**ამელი მორესმო** (6, საფრანგეთი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:2, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (7, სლოვაკეთი) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 6:3, 6:4; **ანასტასია მისკინა** (რუსეთი) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:1, 6:4; **პატი შნიდერი** (შვეიცარია) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:4, 6:1

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — მეგან შონესი (აშშ) 6:2, 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (აშშ) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 6:4, 7:6 (7:3); **ლაურა გრანვილი** (აშშ) — ანჟელიკა რიოში (გერმანია) 7:5, 6:2

ვინუს უილიამსი ამ ტურნირის სამგზის გამარჯვებულია და აქ ნათამაშებ 13 შეხვედრაში უკლებლივ უმარჯვია. მეოთხედფინალში გზის გასაკვალად მას ამჯერად თვისტომ შონესთან მსუბუქად წაბლლარძუნება მოუხდა.

დღეს ძალიან ეფექტიანად ვითამაშეო, ღიმილობდა მერე ვინუსი. არც ბადისთვის მომირტყამს ზომაზე მეტი და არც კორტისთვის გადამიცილებიაო, დასძენდა ბოლოს.

სხვაფრივ — კარგი რამ სანახავი გამოდგა დიდ კორტს ახლახანს მობრუნებული ლინდსი დევენპორტისა და ჯანიანი უზბეკხათუნის, იროდა ტულიაგანოვას განდაგანა. მეტოქის მძლავრ მოწოდებებსა და ჩაქუჩა ხელწალმებს ლინდსიმ დახვეწილი შემოვლებულები და ნატიფი ალმაცერები შეაგება. ეს მათი პირველი შეხლა იყო და ნამატჩევს დევენპორტმა ჰალალად აღიარა, რომ მოუმზადებელი დახვდა აზიელის ძალისმიერ თამაშს.

ტულიაგანოვამ სახელიან მეტოქეს 9 გამჭოლი მოწოდება გადაუჭირა და, თუკი ეისების რაოდენობა მეტი არ იყო, ეს იმიტომ, რომ ლინდსიმ რამდენიმე ტყვიასავით გაშვებულ ბურთს ჩოგანი მაინც შეახო.

„ძალიან გამიჭირდა — ამბობდა მერე დევენპორტი — 110-115 მილიანი მოწოდებით ბევრი გოგო ვერ დაიკვეხნის. ასეთი საშინელი მოწოდება, მგონი, ვინუსის მეტი არავის უნდა ჰქონდეს. ბედი ჩემი, რომ ბურთს დღეს რიგიანად ვაბრუნებდი, თორემ გათახსირება არ ამცდებოდა".

„ყოველი კუთხიდან მიგდებდა — დასძენდა თავის მხრივ ტულიაგანოვა — ამას ისე ზუსტად და აუღელვებლად აკეთებდა, რომ ნერვები ამეშალა. მატჩის ბედიც ალბათ სწორედ ამან გადაწყვიტა".

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ოდინდელი მეპირველე დევენპორტისთვის ეს მეოთხე ტურნირია მას შემდეგ, რაც რომ იანვარში ნაოპერაციები მუხლი მოიშუშა და მოჩოგნავე საქალეთში დაბრუნდა.

ლინდსი თვლის, რომ ახლა სრულიად ჯანმრთელია და აშშ-ის ღია პირველობაზე ტიტულისთვის სრულფასოვან მოცილეთა შორის უნდა ვიგულოთ.

**ლევან ძილაურაძე**



პოლ-ანრი მათიო



პიტ სამპრასი

# ნეტავი ჩვენც წყალში ვიდგეთ ამ ცეცხლმოკიდებულები

**ვერ** დავიჩემებთ, საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები რომ არ დაშლილიყო, ჩვენი ბიჭები უეჭველად გავიდოდნენ მსოფლიოს თასზე, თანაც იქიდან რაიმე მედლით ხელდამშვენებულები დაუბრუნდებოდნენ ერთ დროს მშობელ ლაგუნა ვერესო. მაგრამ იმაზე კამათი კი შეიძლება, რომ წყალბურთელთა ნაკრები სხვა სახეობაში მობურთავეებზე მეტად თუ არა, არც ნაკლებად გაუთქვამდა სახელს მზიურ საქართველოს, რომელიც ჯერაც ასე მკრთალად ატყვია სპორტული სამყაროს რუკას.

ასეთია სამწუხარო რეალობა, დღეს სხვა ალმით დაცურავენ რჩეული ქართველი ბიჭები და სხვები ხეირობენ მათი გაქანებითა და უნარით. ბელგრადში ეს-ესაა დაწყებულ მსოფლიოს თასზე რუსეთის საკეთილდღეოდ ირჯება თანამედროვეობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მობურთალი რეზო ჩომახიძე. მისი დიდი იმედი აქვს რუსთა თავკაც ალექსანდრ კაბანოვს, „ჩომაგოლთან" ერთად ისედაც ფავორიტ რუსეთს მსოფლიო ოქროს მოხვეჭის მეტი შანსი აქვს.



რუსების მეკარე ნიკოლაი მაქსიმოვს უნგრელი ტიბორ ბენედეკი უტევს

REUTERS ბელგრადიდან

რთულ ქვეჯგუფში მოხვედრილმა რუსებმა წარმატებით დაძლიეს პირველი ტური-ბარიერი. კერკეტ უნგრელებს მინიმალური სხვაობით მოუგეს და ალბათ უმთავრეს მეტოქესთან, იუგოსლავიის ნაკრებთან შეხვედრის წინ კარგი განწყობა შეიქმნეს. მასპინძელმა იუგოსლავიამ ლამის მკლავის ერთი მოსმა-მოქნევით მოუგო პირველ შემხვედრთ, ამერიკელებს.

უნდა ითქვას: მსოფლიოს თასი ცოტა არ იყოს უცნაური სისტემით ტარდება — ჯგუფური ეტაპი ტრადიციულია, მსოფლიოს რვა რჩეული ნაკრები ორ ქვეჯგუფში ნაწილდება და ჩვეულებრივ სამ-სამი მატჩის შემდეგ გუნდები პირველ-მეოთხე ადგილებს დაიკავებენ. შემდეგ ეტაპზე სამ-სამი რჩეული გავა, მაგრამ გუნდები პლეი ოფის სხვადასხვა საფეხურზე აღმოჩნდებიან. ქვეჯგუფების მომგები ორი გუნდი პირდაპირ ნახევარფინალში გავა და ერთმანეთთან რკენაში გამოავლენენ ფინალისტს. რაც შეეხება მეორე ნახევარფინალს, იქ მოხვედრისთვის ოთხი გუნდი იბრძოლებს, ქვეჯგუფის მეორე-მესამე ადგილოსნები ჯვარედინად შეხვდებიან ერთმანეთს და უმჯობესი ორი ფინალის მეორე საგზურისთვის იბრძოლებს.

მსოფლიოს თასის ფინალს ბელგრადი 25 აგვისტოს უმასპინძლებს.

**მალხაზ ჭუმბურიძე**



ბერძენმა გეორგე აფროდაკისმა ესპანელებს ბურთი მოუღერა

REUTERS ბელგრადიდან

| A ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი 7:6 უნგრეთი** | | | | | | |
| **აშშ 4:9 იუგოსლავია** | | | | | | |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 0 | +5 | 2 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +1 | 2 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -1 | 0 |
| აშშ | 1 | 0 | 0 | 1 | -5 | 0 |
| B ჯგუფი | | | | | | |
| **ხორვატია 5:6 იტალია** | | | | | | |
| **საბერძნეთი 5:5 ესპანეთი** | | | | | | |
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | +1 | 2 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 | 1 | -1 | 0 |


## რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**
**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**

## ამხანაგური მატჩები

## ჩვენი მეტოქეები

### ირლანდია

**ფინეთი 0:3 ირლანდია**

0:1 კინი (12), 0:2 პული (76), 0:3 ბარეტი (82)
ირლანდია: დ. კელი (გივენი 76), გ. კელი, ჰარტე (ბარეტი 76), კანინგემი (დოჰერტი 46), ბრინი, კარსლი (ჰოლანდი 87), მაკატირი (პული 46), კინსელა (მაკფაილი 46), დაფი (დელაპი 46), რობი კინი (გუდვინი 84), ბატლერი (კილბეინი 46)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)
12 225 მაყურებელი

### რუსეთი

**რუსეთი 1:1 შვედეთი**

1:0 კერჟაკოვი (56), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (90)
რუსეთი: ოვჩინიკოვი (ნიგმატულინი 46), ნიგმატულინი ... (დაევი 46), კოვტუნი, იგნაშევიჩი (ოლენიკოვი 71), ონოპკო (სმერტინი 2; ალდონინი 46), იანოვსკი (სემშოვი 58), გუსევი (პიმენოვი 35), ხოხლოვი (ლოსკოვი 46), სემაკი (პოპოვი 57), ბესჩასტნიხი (კერჟაკოვი 36), ლატიონოვი (კარიაკა 23; არშავინი 79)
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)
20 000 მაყურებელი

### შვეიცარია

**შვეიცარია 3:2 ავსტრია**

0:1 ვალნერი (11), 1:1 ჰ. იაკინი (19), 2:1 ფრეი (41), 3:1 მ. იაკინი (76პ), 3:2 ვალნერი (81)
შვეიცარია: შტილი, ბ. ჰაასი (მაიერი 82), ფურნიე (მანინი 76), ანშო (ვიკი 46), მ. იაკინი (ს. კელერი 90), ფოგელი, კაბანასი, მიულერი, ჰ. იაკინი (სელესტინი 67), ა. ფრეი, შაპუიზა
მწვრთნელი: იაკობ კუნი
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)
23 500 მაყურებელი


REUTERS მოსკოვიდან

რუსეთი — შვედეთი. იოჰან მიალბი და ვლადიმირ ბესჩასტნიხი: გადაიხლართა ინტერესები და ხელები

## ამხანაგური მატჩები

ესტონეთი 1:0 მოლდოვა
უკრაინა 0:1 ირანი
ლიტვა 2:4 ისრაელი
ნორვეგია 0:1 ჰოლანდია
ბულგარეთი 2:2 გერმანია
ფარერები 3:1 ლიხტენშტაინი
უნგრეთი 1:1 ესპანეთი
მაკედონია 5:0 მალტა
პოლონეთი 1:1 ბელგია
ბოსნია 0:2 იუგოსლავია
ხორვატია 1:1 უელსი
იტალია 0:1 სლოვენია
რუმინეთი 0:1 საბერძნეთი
ტუნისი 1:1 საფრანგეთი
შოტლანდია 0:1 დანია
ისლანდია 3:0 ანდორა
ლუქსემბურგი 0:2 მაროკო
ჩეხეთი 4:1 სლოვაკეთი
ჩრდ. ირლანდია 0:0 კვიპროსი
აზერბაიჯანი 2:0 უზბეკეთი
ლატვია 2:4 ბელარუსი
ალჟირი 1:1 კონგოს დრ
ეგვიპტე 2:0 უგანდა
ბრაზილია 0:1 პარაგვაი
ვენესუელა — ბოლივია

წუხელ გვიან გაიმართა

### ახალგაზრდულები

რუსეთი — შვედეთი 3:1; ბოსნია — იუგოსლავია 0:2; ბელარუსი — უკრაინა 2:1

### იტალია

თასი. I ეტაპი. I მატჩი

სპეცია 0:3 ვიჩენცა


REUTERS ტრიესტიდან

იტალია — სლოვენია. დამიანო ტომაზის ბურთი შერჩა და ერმინ შილიაკის ფეხი ასცდა


REUTERS ვარშავიდან

პოლონეთი — ბელგია. ზემოთ და ქვემოთ: უესლი სონკი და მიხალ ჟევლაკოვი


REUTERS ფორტალეზიდან

ბრაზილია — პარაგვაი.
რონალდომ ასეთ „ზეწოლას" ვერ გაუძლო: 33-ე წუთზე გამოცვალეს

# ამხანაგური დღე

ოთხშაბათი სანაკრებო ამხანაგურების დღე იყო და მწვრთნელებს საქმის გარდა გულშემატკივართა პატივისცემაც უწევდათ. ბულგარეთში ჩასული გერმანელთა თავკაცი რუდი ფიოლერი ავტოგრაფების გაცემას ვერ აუდიოდა, ბელგიელთა ახალი მწვრთნელი აიმ ანტუნისი კი პოლონეთისკენ მიმფრინავ თავის ნაკრებს პილოტთა კაბინიდან მოძღვრავდა.


REUTERS სოფიიდან


REUTERS სოფიიდან


REUTERS ლისაბონიდან

# რუსული დაშნა

ლისაბონში მიმდინარე მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ქალთა შორის ერთი რუსული ფინალიც გამოვიდა: ეკატერინა ეუჩევამ სვეტლანა ბოიკო დაამარცხა და ოქროს მედალი მოიგო. სურათზე სწორედ ეკატერინას ხედავთ.



# კატავარჯიში

განთქმულ რუს კლოუნს, დმიტრი კუკლაჩოვს (მარცხნივ) სპორტთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, მაგრამ მისი „კატების თეატრის“ ოცდაჩვიდმეტივე წევრი ნამდვილი სპორტსმენია და სატანვარჯიშო ილეთებით იწონებს თავს. „კატების თეატრის“ სპორტული შოუ მესამე წელიწადია წარმატებით იდგმება იაპონიაში.

# ძველი გუნდი ახალ ორლეანში

შარლოტს ენბიეის გუნდი აღარ ჰყავს. სამაგიეროდ, ამიერიდან საკალათბურთო გუნდი ეყოლება ისეთ ჯადოსნურ ქალაქს, როგორიც ნიუ ორლეანია. გუნდს კვლავ „ჰორნეთსი“ ერქმევა და შარლოტურისგან განსხვავებული ლოგო ექნება. მწვრთნელი პოლ სელისი კი ახალი ენბიური გუნდის პირველ მაისურებს ნიუ ორლეანელ ბიჭებს ურიგებს.






სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვატა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დეალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge